# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

გაზეთის გამოსვლის დღე - ოთხშაბათი

№7. 2001წ. ფასი 40 თეთრი

## შაბათს, 31 მარტს, 14 საათზე, მეტეხის ტაძარში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით აღსრულდება ღვთისმსახურება





1971 წლიდან მე ზვიადთან ახლოს ვიყავი, 1974 წელს ჩვენ ვიქორწინეთ, ასე რომ, მე მოწმე ვარ იმისა, თუ რა მდგომარეობაში იყო ოჯახი შევარდნაძის პერიოდში. ეს გახლდათ შინაპატიმრობის აბსოლუტური განსახიერება, რომელიც დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიადან და დამთავრდა ჩემი შვილებით. დღესაც ასე გრძელდება

გვ. 3-4

**პროფესორი თორნიკე ეფრემიძე:**



კრიმინალური ხელისუფლების მიერ დაქირავებული ბანდიტები და ნარკომანები, ნაყაჩაღარ მანქანებში გამოჭიმულნი დასდევდნენ დემონსტრაციის მონაწილეებს და ხელისუფლების თვალწინ ქუჩაში ხვრეტდნენ მოხუცებსა და ქალებს, რითაც ჯილდოებს და მადლობებს იმკიდნენ

გვ. 6

**ზურაბ ძოწენიძე**

საქართველოს კანონიერი დევნილი ხელისუფლება კვლავ იბრძოლებს ფაქტიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ გაემიჯნება ყველა იმ ძალას, ვინც აშკარად პრორუსული პოზიციებიდან უპირისპირდება შევარდნაძეს და მის გუნდს

გვ. 2

**სამშობლოს გარეშე არ არსებობს ბედნიერება**

გვ. 7

### ჩვენი რწმენა

ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის...

ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ნეტარება. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის!

გვ. 6

ნემო ბურჭულაძემ 1990 წლის არჩევნებში მეორეტური ელდარ შენგელაიას დაუთმო, აკაკი ასათიანმა - ნათაძეს, თუმცა ზვიად გამსახურდიამ ყველას მოუწოდა მაქსიმალურად ჭედოთ ადგილები. ასე რომ, ეს გარიგებები იქიდანაა დაწყებული

გვ. 4

### გაბრიელ ფუტკარაძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

1991 წლის 31 მარტი ქართველი ერის ისტორიაში დიდგორის ბრძოლის ტოლი თარიღია!

10 წლის წინ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო საყოველთაო - სახალხო რეფერენდუმში და დადებითად უპასუხა კითხვას: გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის "დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის" საფუძველზე?

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა პროცენტული რაოდენობა დიდი იყო ე.წ. არაქართულ -აფხაზურ და ოსურ- ავტონომიურ წარმონაქმნებშიც, რითაც გაცხადდა ეთნიკურ აფხაზთა და ოსთა ნებაც - ეცხოვრათ ერთიან, დამოუკიდებელ საქართველოში...

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები აჭარაში:

რეფერენდუმის წინ კომუნისტთა თუ მეზობელ იმპერიათა მიერ შექმნილი პატარ-პატარა ჯგუფები სოფელ-სოფელ დადიოდნენ აჭარაში და ხალხს ჩააგონებდნენ: არ მისცეთ ხმა დამოუკიდებლობას, ვინაიდან დამოუკიდებლობის აღდგენა ცხადდება 1918 წლის "დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე; 1918 წელს კი აჭარა ავტონომია არ იყო და, მაშასადამე, დამოუკიდებლობის აღდგენით ავტონომია უკანონოდ გამოცხადდებაო...

## გილოცავთ 31 მარტს

იმპერიის მსახურთ კარგად ესმოდათ იურიდიული ლოგიკა: ხალხსაც კარგად გააგებინეს საქმის ვითარება, მაგრამ მათდა სავალალოდ, აჭარის მოსახლეობამ ზურგი აქცია ამ არაქართველური ცნობიერების მქონე არსებებს და ძალიან მაღალი პროცენტით მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის "აქტის" საფუძველზე: გურულების, იმერლების, კახელების, მეგრელებისა და სხვა ქართველთა მსგავსად, აჭარლებმაც ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი და მიიღეს ქვეყნის აღმშენებლობის ის გზა, რომელიც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შესთავაზა სრულიად საქართველოს.

საქართველოს მოსახლეობა ბოლო ათი წლის მანძილზე პუტჩით და პუტჩის შედეგებით მძაფრად მიაჯაჭვა ყოფით პრობლემებს რუსეთის მიერ დასმულმა დე ფაქტო ხელისუფლებამ, მაგრამ საქართველოს ყველა კუთხეში დღესაც უმრავლესობას ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა სურს და უარს ამბობს ქვეყნის დანაწევრებაზე ავტონომიებად თუ "თავისუფალ ეკონომიკურ ზონებად".

...თუმცა ხალხის ნებას ცრუ არჩევნებითა თუ ფსევდო გამოკითხვებით დღენიადაგ აყალბებს ძალაუფლებამიტაცებული ფაქტობრივი ხელისუფლება.



პატივცემულო მკითხველო! გილოცავთ 31 მარტს - დიდი რეფერენდუმისა და საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს! 31 მარტის განწყობით გვეშენებინოს ჩვენი სახელმწიფო 21-ე საუკუნეში. შეგვწევს ამის ძალა!

---

## მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციები და საქართველო

### ზურაბ ძოწენიძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

XX საუკუნის დასასრულისათვის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების ტენდენციები აშკარად გამოიკვეთა და ამ პრინციპების დირიჟორი და წარმმართველი დასავლურ ორკესტრთან ერთად რომ ამერიკის შეერთებული შტატებია, ამაზე აღარავინ კამათობს. ამ პროცესებს აშკარად ან შეფარულად უპირისპირდებიან არაბული ქვეყნები და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთელი მუსულმანური სამყარო, რუსეთი და ჩინეთი. უკეთ რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელთ ინტეგრაციის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ და აქტიური მომხრეებიც კი იქნებიან, თუ ეს მათი ხელმძღვანელობით და მედროშეობით შესრულდება, როგორც ამას ახორციელებდა სსრკ, აკანონებდა რა მსოფლიო კომუნისტურ იმპერიას, რუსული შოვინიზმის მანიაკურ იდეაზე დამყნობილს.

დასავლეთის ზემოხსენებული გეგმის წარმატებით განხორციელებას, ამ საუკუნის დასაწყისში მაინც, ბევრი ვერაფერი შეუშლის ხელს, თუ ზემოთდასახელებული მოწინააღმდეგე ძალებიდან რომელიმე თავგანწირულ სამხედრო ავანტიურაზე არ წავიდა, რისი საბოლოო შედეგი უზარმაზარი მსხვერპლის ხარჯზე ადვილი გასათვალისწინებელია, ანუ დასავლეთი თავისას მაინც მიაღწევს.

დასავლეთი ცდილობს, არ აჩქარდეს თავისი საბოლოო გამარჯვებისაკენ სწრაფვაში და იგი საბოლოო მიზნისაკენ მიდის ნაბიჯ-ნაბიჯ, იყენებს ბრძოლის ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ხერხებს და აქ მას სრული უპირატესობა აქვს. აჩქარებას მხოლოდ დაპირისპირება შეიძლება მოჰყვეს და აქ მოწინააღმდეგის უზარმაზარი სამხედრო პოტენციალი ანგარიშგასაწევზე მეტი ძალაა. ასეთ შეტაკებაში წარმატება კროსის გამარჯვების სადარი შეიძლება იყოს.

ამდენად, მსოფლიოში არსებული წონასწორობა, ალბათ, მეტნაკლებად სტაბილური იქნება და მისი გადახრა დასავლეთის სასარგებლოდ ნელ-ნელა გაგრძელდება.

ამ პროცესებისა და, რაც მთავარია, თვით ქართველი ხალხის თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვის შედეგად, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა უაღრესად რთულ ვითარებაში. ამ ძნელი გზის დასაწყისი უკიდურესად დაამძიმა და მიზანი საერთოდ ეჭვის ქვეშ დააყენა რუსეთიდან მართულმა 1991-92 წლების კრიმინალურ-სამხედრო გადატრიალებამ, ვინაიდან პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო ჩამოშორებულ იქნენ სახელმწიფოს მართვის სათავეებიდან.

მ ხ ო ლ ო დ პრეზიდენტს და მის მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალებს ჰქონდათ გათვლილი ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც ბოლომდე უნდა მიეყვანა ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დამკვიდრება მსოფლიოს დამოუკიდებელ ერთა შორის.

გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლებისათვის რუსეთის მიერ ბოძებული დავალება კონკრეტული იყო და ასეთად რჩება დღესაც. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეკონომიკური განადგურება და, ბოლოს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დაბრუნება. დავალების პირველი და მეორე პუნქტი საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ პირნათლად შეასრულა. ცოტა გაჭიანურდა ბოლო და უმთავრესი პუნქტის შესრულება-დამოუკიდებლობის იურიდიულად გაუქმება. ამის მიზეზი გახდა დასავლეთის მიერ კავკასიური პოლიტიკის შეცვლა და ის ფინანსური დახმარება, რომელსაც დასავლეთი იღებს პოსტსაბჭოთა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ. საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირებისა და მათ მხარდამჭერთა ვიწრო წრისათვის ეს დახმარება იქცა პირადი გამდიდრების უშრეტ წყაროდ. ამიტომ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და რუსეთთან შეერთება ამ გამდიდრების წყაროს დაშრეტის მიზეზად იქცევა აუცილებლად. ამის გამო, შევარდნაძე და მისი გუნდი დასავლური კურსის მხარდამჭერად აცხადებს თავს და რუსეთს უჭიანურებს დაპირებულის შესრულებას.

**ფაქტობრივ ხელისუფლებას უჭირს შეასრულოს რუსეთის დავალება – იურიდიულად გააუქმოს დამოუკიდებლობა, რადგან ამით შეუწყდება გამდიდრების უშრეტი წყარო, დასავლეთიდან ფინანსური დახმარება.**

ამ მიზეზის გამო გაჩნდა უკმაყოფილება რუსულ პოლიტიკაში შევარდნაძის მიმართ, რადგან განმტკიცდა დიდი ეჭვი მისი სანდოობის თაობაზე. თუ დასაბამიდან შევარდნაძის ანტიეროვნულ პოლიტიკას საქართველოში მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების მომხრეები უპირისპირდებოდნენ, დღეს უკვე მის წინააღმდეგ მწვავედ ილაშქრებს პოლიტიკურ ძალთა ფართო სპექტრი და, პირველ რიგში, ის პრორუსული ძალები, რომლებიც ყოველთვის შევარდნაძის გვერდით იყვნენ მის ანტიქართულ ძალისხმევაში. ამის ახსნა ადვილად შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ იმ წარმოდგენილ მასშტაბებს რუსეთის აგენტურული ქსელებისა საქართველოში, რომლებშიც ჩართულია ამ პოლიტიკურ ძალთა უმრავლესობა და წითელი ინტელიგენცია.



ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონიერი დევნილი ხელისუფლება კვლავ იბრძოლებს ფაქტიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ გაემიჯნება ყველა იმ ძალას, ვინც აშკარად პრორუსული პოზიციებიდან უპირისპირდება შევარდნაძეს და მის გუნდს. ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა მათი წასვლა ხელისუფლებიდან, მაგრამ უპირობოდ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის სასარგებლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა საშუალება ქართველ ხალხს გააკეთოს ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევანი და დაადგეს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას.

რაც შეეხება რუსეთს, ამ ქვეყნის რუსული მოსახლეობის 90% ოცნებობს იმპერიის აღდგენაზე, მათი ფსიქოლოგია გამოქვაბულის დროის ადამიანთა დონეზეა და განწყობა თავისუფალი საქართველოსადმი უკიდურესად მტრული, არაკეთილმოსურნე. ასეთი რუსეთისადმი საქართველოს მიბრუნება ნიშნავს სამუდამო დამამცირებელ მონობაში დაბრუნებას. ამიტომ დასავლურ ორიენტაციას, მიუხედავად გლობალიზმის პოლიტიკის ჩვენთვის მიუღებლობისა, ალტერნატივა არ გააჩნია.

აღდგენილი ფაქტიური მმართველობის შემთხვევაში, რაც ვფიქრობ, არც თუ შორეული მომავლის საქმეა, კანონიერი ხელისუფლება აალორძინებს იმ პოლიტიკურ საგარეო და საშინაო კურსს, რაც დასახული ჰქონდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ითვალისწინებს ეროვნული ფასეულობების აღდგენა-განმტკიცებას, ქრისტიანულ ცივილიზაციაში ჩვენს დაბრუნებას, შესაბამის სამოქალაქო შეგნებას და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენას, ერის უსაფრთხოების დაცვას. ჩვენ ვიცით ჩვენი მიზნების მისაღწევი გზები. ნეიტრალიტეტის პოლიტიკა დღეს არარეალურია და აქტიურ თავდაცვაზე უარის თქმის ტოლფასია.

---

**დისკუსია**

## სადისკუსიო თემა

### რა მიმართულებით „მოძრაობს" ე.წ. „საპარლამენტო და გარეოპოზიციური ძალების ალიანსი?"

**დისკუსიაში მონაწილეობის მისალებად ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, დე ფაქტო პარლამენტისა და ე.წ. გარეოპოზიციის წარმომადგენლებს; ამჯერად გთავაზობთ საუბარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან ბ-ნ ბიმურზა აფრასიძესთან**

(დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

*– და მაინც, რას ემსახურება მათი გამოსვლები?*

– პასუხისათვის ჯერ წარსულის გახსენება დამჭირდება, რადგან თანამედროვე მოვლენებისა და ქმედებების გაგება მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოხერხდეს.

ცხადია, გახსოვთ 1992 წლის 24 ივნისის ტელევიზიაში შესვლის აქცია. რა მიზანს ისახავდა იგი? ამ მოვლენის მიზნები შედეგების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს: ერთი მიზანი საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მხარდამჭერების ტერორისტებად გამოცხადება იყო; მეორე – საყოველთაო, მასობრივი ფსიქოზის გაღვივება და მოსახლეობის ყურადღების გადატანა დაგომისში მიმდინარე მოვლენებიდან, სადაც მოგეხსენებათ, ხელი მოეწერა მოღალატურ გარიგებას რუსეთსა და შევარდნაძეს შორის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხების თაობაზე, რათა არ ყოფილიყო მასობრივი გამოსვლები; ისინი, ვინც მაშინ ტელევიზიაში ეძახდა ხალხს, გამოდიოდნენ ფაქტობრივი ხელისუფლების ნაცვლის მოთხოვნით, თუმცა თავს აცხადებდნენ

**ამ ხელისუფლებამ აიძულა „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ზოგი წარმომადგენელი გაეკეთებინა განცხადებები,,, რომ არავითარი უზენაესი საბჭო არ არსებობს**



პოლიტიკურ ორგანიზაციებად (წესით, პოლიტიკურ ორგანიზაციად არ უნდა ითვლებოდეს ის, ვინც იარაღით ხელში იბრძვის ხელისუფლების, თუნდაც ფაქტობრივის, წინააღმდეგ) და ამ დროს, შევარდნაძე მშვიდად გადაფრინდა დაგომისში, რადგან ესაჭიროებოდა ხელმოწერა იმ "დიდი" გარიგებისა, რომელმაც გაახვეწა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ტელევიზიის კადრშიც კი ისმოდა შეძახილები, "დროზე უნდა მორჩეს ეს ყველაფერით"; და მესამე (და მთავარი) – მოეხდინათ საქართველოში გარკვეული არეულობა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ეცნოთ უცხოეთისათვის, რომ ზვიად გამსახურდია არის ტერორისტი, ხოლო მისი ორგანიზაცია და მისი ხელისუფლება არის ტერორისტული ორგანიზაცია. ამის საუკეთესო საშუალებაც მო-

გვ. 3

## ინტერვიუ გოლზურ პოშპში

(დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

***– ქალბატონო მანანა, უზენაეს საბჭოსა და მრავალ მავიდასთან ერთად, ალბათ, უკვე მუშაობთ იმ საკითხებზე, რომლებიც დაისმის თქვენს წინაშე კანონიერი ხელისუფლების ფაქტობრივად აღდგენის შემდეგ. ვფიქრობ, საკმაოდ რთული გადასაჭრელი იქნება საკადრო პრობლემები, მით უფრო, რომ ამ ათი წლის მანძილზე გადაისინჯა ზოგი პიროვნების პოლიტიკური იმიჯი. რამდენად შეუწყნარებლური იქნება მათ მიმართ თქვენი ხელისუფლება, და საერთოდ, როგორ გესახებათ საკადრო პოლიტიკა?***

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურების შედგენის დროს გარკვეული მონახაზი გავაკეთეთ იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება მოხვდეს ამ სტრუქტურებში. მოგეხსენებათ, თავისი მონაცემებით შეიძლება პიროვნება იყოს განათლებული, მაგრამ მრწამსი ჰქონდეს სხვა და ამის გამო ჩვენ დავშორდეთ ერთმანეთს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გარკვეული ცვლილება განიცადა თავად საზოგადოებამ. ბევრი კარგი სპეციალისტი დარჩა ჩრდილში იმის გამო, რომ ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ შემოეკრიბათ ის ძალები, ვისი მეშვეობითაც განახორციელებდნენ სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებას სამოქალაქო სფეროში, წარმოებაში და სხვ. ფაქტობრივად, ათი წლის განმავლობაში აქ ნგრევის პროცესი განვითარდა და არა აღმშენებლობისა. ამიტომ მოსახლეობის ის დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენ პერსპექტივაში გვყავს, და საკმაოდ დიდი ძალაა, თითქმის დაუსაქმებელი ან სამსახურებრივად გამოუყენებელი დარჩა..

საქართველოს არც ერთ სფეროში არ აკლდა კვალიფიციური კადრები წარსულში და არც მომავალში ექნება ეს პრობლემა. ახალგაზრდობიდან დაწყებული, შუა ხნის ასაკის ჩათვლით, ყველანი უნდა ჩაერთონ იმ პროცესებში, რომელიც დადგება სულ მალე ჩვენს წინაშე. და რაც გარდაუვალია, მე ამას ხაზს ვუსვამ, არ იქნება არავითარი ისეთი პროცესი, რომელიც ჩვენ კატასტროფის წინაშე დაგვაყენებს კადრების შერჩევის საკითხში. საერთოდ, კადრების პრობლემა ჰქონდა "საბჭოთა" საქართველოს, მაგრამ არა ეროვნულ ხელისუფლებას. მინდა, განმარტება მივცე მკითხველს ამის შესახებ. კომუნისტური ხელისუფლების მძვინვარების პერიოდში, რომელიც იგივეა ახლაც, ოღონდ გარკვეულად სახელშეცვლილია (დანარჩენი მას არაფერი არ შეუცვლია), მხოლოდ უფრო გამძვინვარდა და გაბოროტდა, ვინაიდან იგრძნო მოსახლეობის მხრიდან გაკიცხვა (რაც, ცხადია, უფრო ადრეც უნდა გამოკვეთილიყო). მოგეხსენებათ, საქართველოს კომუნისტური პარტია (ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებისა) გახლდათ კრემლის ფილიალი; ისინი გამზადებული პაკეტით ღებულობდნენ განკარგულებებს, რომლებიც უნდა შეესრულებინათ. გავიხსენოთ, როგორ მიიღო ფალსიფიცირებული დოკუმენტებით საქართველომ ხუთი გარდამავალი დროშა და ხუთი ლენინის ორდენი მაშინ, როდესაც არანაირი გეგმა არ ჰქონია შესრულებული. საქართველო გახლდათ დამწყები ამისა, კერძოდ, შევარდნაძემ დაიწყო ეს სიყალბე და მერე თავისი გამოცდილება გადასცა თავის უახლოეს მეგობარს ალიევს და აქედან დაიწყო ნულების მიწერის პროცესი. კომუნისტებს ხელს არ აძლევდათ განათლებული და კვალიფიციური მუშაკები, იმიტომ რომ ისინი საშიშნი არიან იმათთვის, ვინც კადს არჩევს არა ინტელექტუალური მონაცემების მიხედვით, არამედ პირიქით, სისუსტით, რადგან სუსტები უფრო მორჩილნი არიან, მორჩილი ადამიანი ყველაფერზე ხელის მომწერია. ეს აწყობდა იმ ხელისუფლებას და დღევანდელი ხელისუფლებაც ხომ კოპირებულია იმისგან. ეროვნული ხელისუფლება კი დაინტერესებულია პროფესიონალებისა და მოაზროვნე ადამიანების მოზიდვით. ჩვენთვის აცილებულია ის კადრები, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე ინტელექტუალურსა და ძლიერ ძალას ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომელიც არ აგრძნობინებს მოსახლეობას გაჭირვებას იმ პერიოდში, როდესაც უნდა განხორციელდეს კადრების შერჩევა, შესწავლა, ცვლა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ესწრაფვის, რომ საქართველო გახდეს სამაგალითო არა მარტო მრეწველობით, არამედ ყველაფრით. კულტურა და ისტორია საქართველოს არ აკლია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანასთან მიმართებაში. მოგეხსენებათ, მრეწველობა საქართველოში დღეს არ არსებობს, არც სხვა დარგებია უკეთეს მდგომარეობაში. ჩვენ წარმატებას მივაღწევთ! რაც უფრო მაღალი და ძლიერი სპეციალისტი იქნება, მით უფრო სასურველი იქნება იგი ჩვენთვის, რადგან მათ უნდა შექმნან ახალი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევრად ითვლება დღეს. ეს პრობლემა უნდა მოვხსნათ. ისეთ კადრებს შევარჩევთ, რომლებიც შესწავლილი გვეყოლება, რომლებიც სანდონი იქნებიან და აღარ განმეორდება საშინელი ისტორია, რომელმაც ავნო საქართველოს მოსახლეობას, რესპუბლიკას მთლიანად.

***– სწორედ ესსანდო კადრებია თქვენი ოპონენტების საყვარელი თემა კანონიერი ხელისუფლების კრიტიკისას. ტერმინი სანდო კადრი როგორც ჩანს, მარჯვედ გამოიყენება პოლიტიკურ კამათში მანიპულირების დროს. შესაძლოა, თქვენი ოპონენტები ქარგად იაზრებენ, რა დანაშაულიც მიუძღვით პერსონალურად თქვენი ოჯახისა და თქვენს წინაშე წარსულში, და ვარაუდობენ, რომ გარკვეულ სასჯელსაც იმსახურებენ, იქნებ ამიტომაც ცდილობენ წარმოგადგინონ რევანშისტად, რომელიც შურისძიებას ესწრაფვის.***

***შეუშლის თუ არა სინამდვილეში თქვენი სუბიექტური ტკივილები თქვენს ობიექტურობას?***

– ჩემი სუბიექტური აზრი ასეთი გახლავთ: პიროვნება, რომელიც იგრძნობს თავის დანაშაულს, აღიარებს და მთელ თავის ენერგიასა და გამოცდილებას მიუძღვნის სამშობლოს, სასურველი კადრი აღმოჩნდება ეროვნული ხელისუფლებისათვის. არსებობენ პიროვნებები, რომლებსაც შესანიშნავი მონაცემები აქვთ, მაგრამ გარკვეულ პერიოდში ისინი აღმოჩნდნენ ჩვენი მტრების მხარეს; ვფიქრობ, დღეს ისინი თავად არ არიან კმაყოფილნი თავიანთი ბედით, ვინაიდან ისტორიაში აღიბეჭდნენ იმ პიროვნებების გვერდით, რომლებსაც მომავალში, ალბათ, თვით ისტორია მიაგებს პასუხს. გადასაყრელი და ქუჩაში გადასაგდები ხალხი ნამდვილად არ გვყავს; ჩვენთვის ამოსავალი იქნება სულიერება, სიყვარული სამშობლოსი და გამოსყიდვა დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინეს. ჩვენი მხრიდან არ მოხდება შეხსენება წარსულისა. თუ ყოველ წუთს უჩიჩინე, შენ ეს ჩაიდინე და ამიტომ უნდა გააკეთო ესა თუ ის საქმეო, შიშის ფენომენმა თუ იმოქმედა, ასეთ ვითარებაში ვერასოდეს ააშენებ ისეთ სახელმწიფოს, რომელზედაც ვოცნებობთ. მე მიმაჩნია, რომ კერძო, სუბიექტური დამოკიდებულებები არ უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფოს ბედს. სახელმწიფო ისეთი რამეა, რომელიც პიროვნებებით კი არა, ერის, ხალხის სახით მოიაზრება. ჩვენ თუ პიროვნულ დონეზე დავედით, ვერასოდეს ავაშენებთ სახელმწიფოს. არ უნდა დავუშვათ შურის მომენტი. მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი გადაწყდება დადებითად. სხვა შემთხვევაში, თუ მე დავიწყებ ანგარიშსწორებას პიროვნულად და თუნდაც პატიების მიხედვით, ვისაც რა დანაშაული მიუძღვის საქართველოს წინაშე (უპირველეს ყოვლისა, საქართველოს წინაშე, ამას ხაზს ვუსვამ, და შემდგომ უკვე ჩვენი ოჯახის წინაშე), მაშინ ან ისინი უნდა წავიდნენ საქართველოდან და ან მე. ეს გამორიცხულია! ყველამ უნდა იგრძნოს თავისი დანაშაული, ეს არის მთავარი, თორემ, ცხადია, მე არ მოვითხოვ, რომ მათ ეს საჯაროდ აღიარონ საზოგადოების წინაშე ან რაღაც ამგვარი. არა, ბატონო, თავისთვის გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობა და სამშობლოს სამსახურით გამოასწორონ ძველი შეცდომები.

**– შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისითაც თქვენ რჩებით ზვიად გამსახურდიას გზის გამგრძელებლად, რადგანაც ბატონი ზვიადი მოუწოდებდა საზოგადოების მთელი სოციალური სპექტრის წარმომადგენლებს თანამშრომლობისაკენ. და მან ეს რეალურად განახორციელა კიდეც, როდესაც ხელისუფლებაში მოსულმა, ასე ვთქვათ, აქტიურ კომუნისტებს თანამდებობები შესთავაზა.**

– დიახ, ასე იყო. მაქვს ორიოდე ისეთი მაგალითი, რომელიც სასურველია ჩვენმა მკითხველმა იცოდეს. მართალია, ეს მაგალითები წარსულს ეხება, მაგრამ თავად ზვიადის პიროვნება ყოველთვის იქნება განსჯის საგანი საქართველოსთვის ყველა პერიოდში. ზვიად გამსახურდიას დაპირისპირების მომენტი არ უნდოდა შეეტანა მოსახლეობაში. მან იმთავითვე განაცხადა, ყველას ყველაფერი მიგეტევებათ, გეპატიებათ, თუ რამ ჩაგიდენიათ წარსულში, ოღონდ დღეიდან დაიწყეთ ახალი ცხოვრებაო. მინდა ერთი საგულისხმო მაგალითი მო-

გვ. 4

> თუ მე დავიწყებ ანგარიშსწორებას პიროვნულად და თუნდაც პატიების მიხედვით, ვისაც რა დანაშაული მიუძღვის საქართველოს წინაშე (უპირველეს ყოვლისა, საქართველოს წინაშე, ამას ხაზს ვუსვამ, და შემდგომ უკვე ჩვენი ოჯახის წინაშე), მაშინ ან ისინი უნდა წავიდნენ საქართველოდან, ან მე. ეს გამორიცხულია!



## დისკუსია

გვ. 2

იძებნა – თითქოს პრეზიდენტის რწმუნებული ვალტერ შურღაია შედის ტელევიზიაში, ტერორისტულ აქტს ახორციელებს.

1992 წლის ზაფხულში ბატონ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა მიწვევა საზღვარგარეთ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს. იგი ეუთოს ჰელსინკის თათბირზე იყო მიწვეული და შემდეგ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზეც უნდა გამოსულიყო. დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით მომზადდა ეს მიწვევა, მაგრამ შევარდნაძის ამ ტელეაქციის შემდეგ ბატონ ზვიადს ვიზა მხოლოდ ამ თათბირის დასრულების შემდეგ მისცეს. მოგეხსენებათ, მან მაშინ იმოგზაურა და ესეც თავისებურად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეუთოს თათბირზე ის უკვე ვერ მოხვდა. ასე რომ, სწორედ იმ მომენტში მიეცათ საშუალება შევარდნაძესა და მის ძალებს, რომ პრეზიდენტი გამსახურდიასათვის საერთაშორისო სარბიელი გადაეკეტათ.

*– ბატონო ბიმურზა, პოლიტიკოსთა ანალიზიდან, და დღევანდელი გადასახედიდანაც, როცა წარსულ მოვლენებზე (და მათ შედეგებზე) გაცილებით მეტი ვიცით, ნათელია, თუ ვინ რას აკეთებდა და რატომ. მაგრამ მაშინდელი გამოსვლების დროს მათ ჰქონდათ საუკეთესო ლოზუნგები: კანონიერების აღდგენა, პრეზიდენტის მიმართ სიყვარული და სხვ. იმ პერიოდში, ამის წყალობით, მათ გარკვეული ქულებიც ჩაიწერეს...ახლა, დღევანდელი ვალტერ შურღაია, ტელევიზიაში ვერავის ვერ შეიყვანს იმიტომ, რომ დღეს მას ავტორიტეტი აღარა აქვს. მან თავადვე უარყო ის, რაც მის ავტორიტეტს ქმნიდა, ჩვენ არა ვართ ზვიადისტები - ამბობენ ისინი.. რამდენად ლოგიკურია პოლიტიკურ თამაშში ჩაბმული ადამიანისათვის წამდაუწუმ ასეთი თვითუარყოფა?*

> ზვიად გამსახურდიას სურათებით გამოდიან, თუმცა აბსოლუტურად საწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიან, ალბათ, დაკვეთა აქვთ მიღებული, ჯერ ხალხი უნდა მიიზიდონ და მერე ვინ იცის...

– ეს ჯგუფი შეგნებულად არ გამოხატავს თავის ნამდვილ პოზიციას. მრავალწახნაგოვანი ჯგუფის შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი იძახის, კოალიციური ხელისუფლება გვინდაო, ევაჭრება შევარდნაძეს სკამების თაობაზე, მინისტრთა მოადგილეების ადგილები მოგვეცითო. კომისიების თავმჯდომარეობაც მოინდომეს ამ უდღეურ პარლამენტში... ახლა ითხოვენ კოალიციურ მთავრობას. მეორე (მაგ.,ძიძიგური) სატელევიზიო გამოსვლაში აცხადებს, ჩვენ ამ მოთხოვნით არ გამოვდივართ, ეს "XXI საუკუნის" მოთხოვნააო. ახლა ეს ჯგუფები გაერთიანებულან და ერთად აწერენ ხელს მოსახლეობისადმი მიმართვას, რომელიც აი ახლა, თვალწინ გვიდევს. ასე რომ, ეს ერთი ჯგუფია; მეორე ჯგუფი, (ძიძიგურისა და ჯავახიას ჯგუფი) აცხადებს, რომ უზენაესი საბჭო ფაქტობრივად არ არსებობს. მათი სიტყვით, უზენაეს საბჭოს ვადა გაუვიდა; მესამე ჯგუფი (პეტრიაშვილი, დანგაძე და ანდღულაძე) აცხადებს, რომ უზენაესი საბჭო არსებობს თავისი პრეზიდიუმის სახით. ისინი ეწინააღმდეგებიან ზვიად გამსახურდიას, რომელიც

გვ. 4

## ინტერვიუ კოლხურ კოშკში

➪ გვ. 3

ვიყავნო, რომელიც, ალბათ, უმრავლესობამ არ იცის. ზვიად გამსახურდია, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ცდილობდა, რომ ის პიროვნება, რომელსაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მოექცია, რათა მას ეგრძნო, რომ მის დანაშაულს არ უსვამენ ხაზს, და ცხოვრების სხვა გზა აერჩია. ყველას აძლევდა ამის შანსს. *1971 წლიდან მე ზვიადთან ახლოს ვიყავი, 1974 წელს ჩვენ ვიქორწინეთ, ასე რომ, მე მოწმე ვარ იმისა, თუ რა მდგომარეობაში იყო ოჯახი შევარდნაძის პერიოდში.* ეს გახლდათ შინაპატიმრობის აბსოლუტური განსახიერება, რომელიც დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიადან და დამთავრდა ჩემი შვილებით. დღესაც ასე გრძელდება. ზვიად გამსახურდიას რომ შურისძიების გრძნობა გასჩენოდა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, მის ქალიშვილს, რომელიც ტელევიზიის ერთ-ერთ რედაქციას ხელმძღვანელობდა, მაშინვე გაათავისუფლებდა და ისიც გაემგზავრებოდა მოსკოვში, სადაც მამამისი საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. ამასთან, მის ქალიშვილს ემსახურებოდა სახელმწიფო მანქანა საქართველოს რესპუბლიკისა ზვიად გამსახურდიამ არ დაუშვა ამ პირის შევიწროება. წარმოიდგინეთ პიროვნება, რომელიც მთელი შენი ცხოვრების მანძილზე გდევნის, გამცირებს, გაპატიმრებს, გადასახლებას არ გაკლებს ბავშვებთან ერთად (ცილისწამებების ნიაღვარი მოდიოდა). ზვიად გამსახურდიამ კი მაინც გადაწყვიტა, რომ შურისძიება მისი საქმე არ იყო. მისი ამოსავალი გახლდათ უფალი, რომელიც ბრძანებს, რომ *ყველას უნდა მივუტევოთ, თუ გვინდა ვიყოთ ჭეშმარიტი ქრისტიანები.* აქ მიტევების ფაქტორიც არ იყო. საერთოდაც არ დაფიქრებულა ამაზე, იმდენად მიუღებელი იყო მისთვის შურისძიება. მანანა შევარდნაძე დარჩა თავის ადგილზე და აგრძელებდა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ტელევიზიის თანამშრომლების დამუშავებას, მიუხედავად იმისა, რომ ზვიადმა ყოველივე ეს იცოდა, მაინც არ გააკეთა ის, რაც შეეძლო. განა შიში ჰქონდა რისიმე? მით უმეტეს, შემდეგ, როცა შევარდნაძე პენსიონერი გახლდათ (სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა), ხოლო ზვიად გამსახურდია – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (მაშინ შევარდნაძემ თავისი საგვარეულო ფონდი შექმნა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, და ფორმალურად იგი ყოველგვარ პოლიტიკას უკვე ჩამოცილებული იყო). ზვიადის უდიდესი ქრისტიანობისა და სულგრძელობის წყალობით, მანანა შევარდნაძეს, ისევე როგორც სხვებს, დარჩა წყნეთში აგარაკი, სახელმწიფო მანქანა...და ახლა პარალელები გავატაროთ: ჩვენ სახლი არა გვაქვს, საერთოდ გაფანტულები ვართ, საქართველოში ადგილი არაა, რომელზეც ვიტყოდით, ეს მე მეკუთვნისო. ხომ უნდა იცხოვრო სადღაც? სახლი დანგრეულია, ეზო, რომელიც ადრე ნაკრძალი გეგონებოდა, იავარქმნილია....

***– კოლხური კოშკი საქართველოს ბედს იზიარებდა ყოველთვის. და ის ფაქტი, რომ დღეს კოშკი განადგურებულია, არცაა გასაკვირი. განა საქართველოც განადგურებული არ არის? იქნებ სხვა მაგალითებიც გაიხსენოთ?***



უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთ-ორ შემთხვევას გავიხსენებ. სავაჭრო პალატის თავმჯდომარე გახლდათ ახვლედიანი, შევარდნაძის მძახალი. ზვიად გამსახურდია არამც თუ არ შეხებია იმ დაწესებულებას, არამედ არც კი გააკონტროლებინა ვინმეს, იქ რა ხდებოდა. რადგან ეს უნდა ყოფილიყო მაგალითი ქართველი კაცისათვის. ამით ზვიადი ფიქრობდა, რომ გამოსწორების შანსს მისცემდა იმ პიროვნებას, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ჩადიოდა (ცხადია, ანტისახელმწიფოებრივია, როდესაც კორუფციასთან გაქვს საქმე, როდესაც სახელმწიფოს კუთვნილ თანხებსა და ქონებას საკუთარი მიზნებისათვის იყენებ. ანტისახელმწიფოებრივი მარტო პოლიტიკა კი არ არის). ასე რომ, ახვლედიანი იმ ადგილზე დარჩა ბოლომდე, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია დაამხო, მაგრამ ახვლედიანის შრომის წიგნაკში ცვლილება არ მომხდარა. ასევე მისი ძმიშვილებიც... ერთ-ერთი მათგანი აგრარულ უნივერსიტეტში პრორექტორი გახლდათ და მე ზვიადისაგან ვიცი, თუ რა მტრულ მუშაობას ეწეოდა იგი სტუდენტებში, მაინც არავინ შეხებია მის თანამდებობას. კიდევ ერთი მაგალითი: ალექსი ინაურმა, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ყველაფერი გააკეთა ჩვენი დევნისა და გამწარებისათვის, ჩემი მამამთილიდან მოყოლებული, ჩემი და ჩემი შვილების ჩათვლით, რაც, ყველა ნორმით, ითვლება ანტიჰუმანურ აქტად. შევარდნაძესთან ერთად, რომელიც მაშინ ცეკას მდივანი გახლდათ, მან შეიმუშავა გეგმა, რომ ჩემთვის უფროსი ვაჟიშვილი ცოტნე, რომელიც სულ რამდენიმე თვისა იყო, როდესაც ზვიადი დააპატიმრეს, წაერთმიათ, დედობის უფლება სურდათ ჩამოერთმიათ და "დედათა და ბავშვთა სახლში" გადაეყვანათ უგვაროდ და უსახელოდ... და აი, რა მოხდა, როდესაც ზვიადი მოვიდა ხელისუფლებაში... ვინც კი მაწამებდა და ზვიადს აწამებდა პატიმრობის დროს (მაგ. ალექსანდრე საშა მირიანაშვილი, რომელიც გახლდათ იმ განყოფილების გამგე, რომელიც ზვიადის საქმეს იძიებდა; მთელი ის განყოფილება სუკისა, ბარამიძიდან დაწყებული დამთავრებული გურამ ლომთაძით), ყველა იმავე ადგილზე დარჩა, ოღონდ გადანაწილდნენ სხვადასხვა განყოფილებაში. თავად მათ ისურვეს, რომ სუკის ორი ფილიალი შექმნილიყო და ზვიადი არ ჩაება მათთან ბრძოლაში; ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უშიშროების სამსახური და მას არ უნდოდა მაინცა და მაინც ქართველი უშიშროების თანამშრომელი ყოფილიყო საქართველოს მტერი. მათ ვერ გაითავისეს დამოუკიდებლობა და მორჩილნი და ერთგულნი დარჩნენ იმათი, ვის სამსახურშიც მანამდე იყვნენ.. ოთარ ხატიაშვილი გახლდათ სუკის თავმჯდომარის მოადგილე ადრე, სუკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი იყო ჩვენს დროს. ასევე თამაზ ნინუა, ადრე მოადგილე იყო, ჩვენს დროს გახლდათ მოვალეობის შემსრულებელი. დოლიძაზაშვილი უშიშროების სამსახურში ციხის უფროსი იყო. ამ პიროვნებას ჩვილი ბავშვით ხელში ვაკითხავდი ზვიადის პატიმრობისას; შეიძლებოდა სულ ხუთი კილოგრამი პროდუქტის მიტანა და ხუთი მანეთის გადარიცხვა უშიშროების სალაროში.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## დისკუსია

აცხადებს: ერთი ადამიანიც რომ დარჩეს, უზენაესი საბჭო უნდა იქნეს შენარჩუნებული; ეს არის აუცილებელი საქართველოს გადასარჩენად, საქართველოს სამართალმემკვიდრეობისა და კონსტიტუციური ვაკუუმის შესავსებად, რათა საქართველოს მიეცეს შანსი დაიბრუნოს დაკარგული დამოუკიდებლობა და ის კაბალური ხელშეკრულებები გაუქმდეს, რომლებიც ხუნტამ დადო საქართველოს მოსახლეობის საზიანოდ. შურღაია აცხადებს, რომ უზენაესი საბჭოს წევრია და კანონიერების აღდგენაზე ლაპარაკობს. მისი მეგობარი ზაურ ქობალია კი აცხადებს, რომ ეს ფანტასტიკაა და ამას შევარდნაძე არასოდეს დაუშვებს. შევარდნაძე არ დაუშვებს შიდა ქართლისა და აფხაზეთის დაბრუნებას, მაგრამ ჩვენ შევურიგდებით ამას? ქართველი ერი თუ იარსებებს, ამას არ შეურიგდება. 2001 წლის 24 თებერვალს ჩვენ გვქონდა საგანგებო სესია, რომელიც ამ დანაკარგების დაბრუნების მექანიზმებს მიეძღვნა. (გაზეთ "ქუჯიში" ეს საკითხები საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული). ელიზბარ ჯაველიძე ამბობს, ძველს თავი დავანებოთ და დღევანდელ საკითხებს მივხედოთო. ეს ძველი არის დღევანდელობა. ძველი გზა დღესაც გრძელდება ამ ძალთა გაერთიანებით. შურღაიამ, ქუთათელაძესთან ერთად, 1991 წლის 22 დეკემბერს 12 საათზე ზვიად გამსახურდიას მოსთხოვა გადადგომა. შემდეგ მან გააკეთა განცხადებები იანვარშიც, 13 მარტსაც... გაზეთში დაბეჭდა, რომ თავისი სტრუქტურებით, დასავლეთში მყოფი ჯარი კანონიერი ხელისუფლებისა უნდა შესულიყო ხუნტის სტრუქტურებში, კერძოდ: 1992 წლის 16 ივლისს "საქართველოს რესპუბლიკაში" შურღაია წერს:

"ახლა არ არის მტყუანისა და მართლის გარჩევის დრო, თუ სრული შერიგება არ მოხდა, დავიღუპებით, ახლა არ არის ხელისუფლებისათვის ბრძოლის დრო, საქართველოს მთლიანობისათვის უნდა დავივიწყოთ ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები, აქ არ არის ლაპარაკი შევარდნაძესა და გამსახურდიაზე, ლაპარაკია საქართველოზე, გამსახურდიას ნათქვამი აქვს ჩემთან საუბარში, რომ არავითარ შემთხვევაში არ სურს დაბრუნება სისხლიანი გზით, უსისხლოდ ჯერჯერობით არ გამოდის. ღმერთმა იცის, მე არასდროს მილოლავია პრეზიდენტისათვის, ეხლა რასაც ვხედავ, ერთადერთი სწორი გზა გადადგომაა, ეს სამი წელი ვაცალოთ მას, ვინც გაიმარჯვებს. სალი, სამართლიანი კრიტიკით დავეხმაროთ, მომდევნო არჩევნებში კი ყველას შანსი თანაბარი იქნება. გვეყოფა სისხლისღვრა. სამეგრელოს რეგიონში უნდა შეიქმნას ბატალიონი, რომელშიც გარდა ადგილობრივი ახალგაზრდებისა იმსახურებენ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ბატალიონი უნდა მოექცეს სახელმწიფო სტრუქტურებში, მისი მეთაური უნდა იყოს ვახტანგ (ლოთო) ქობალია. ეს მიხსნის მრავალ პრობლემას."

ამის შემდეგაც მათ არც ერთხელ არ მოუთხოვიათ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა და პირდაპირ თუ ირიბად უკანონო არჩევნებს **უჭერენ მხარს...** ახლა ჩანს, რომ შევარდნაძეს მოუწევს გადადგომა და ესენი აპირებენ ქუჩის დაპყრობას, ვითომ მილოშევიჩის ვარიანტით გადადგება შევარდნაძე, ხოლო სხვა ყველაფერი, ეს კლანები, დარჩება ხელუხლებელი.. ნემო ბურჭულაძემ 1990 წლის არჩევნებში მეორე ტური ელდარ შენგელაიას დაუთმო, აკაკი ასათიანმა – ნათაძეს ( თუმცა ზვიად გამსახურდიამ ყველას მოუწოდა მაქსიმალურად აელოთ ადგილები. ასე რომ, ეს გარიგებები იქიდანაა დაწყებული.

**ნემო ბურჭულაძემ 1990 წლის არჩევნებში მეორე ტური ელდარ შენგელაიას დაუთმო, აკაკი ასათიანმა – ნათაძეს, თუმცა ზვიად გამსახურდიამ ყველას მოუწოდა მაქსიმალურად აელოთ ადგილები. ასე რომ, ეს გარიგებები იქიდანაა დაწყებული**

*– ბატონო ბიმურზა, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რაც დგას მათი სიტყვების მიღმა, მაგრამ ზოგი იქნებ მაინც ვერ ერკვევა საქმის ვითარებაში. ყველა ვერ ხვდება, რატომ იბრძვიან ხსენებული პირები იმის მოსაპოვებლად, რაც უკვე მოპოვებულია. როგორ ავხსნათ ეს გათვლა? განა იმავე ნემო ბურჭულაძეს, აბსნაძეს და სხვებს, თუკი შეინარჩუნებდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსს, არ შეეძლოთ კანონიერი ხერხებით ებრძოლათ ხელისუფლების დასაბრუნებლად?*

– ფარული ბრძოლა იმაშიც გამოჩნდა, რომ რაკი ამ ხელისუფლებასთან გარიგებაში იყვნენ, ამ ხელისუფლებამ აიძულა ისინი განცხადებები გაეკეთებინათ.. რომ არავითარი უზენაესი საბჭო არ არსებობს. თუ გულწრფელები არიან, ისინი ხომ უნდა მისალმებოდნენ უზენაესი საბჭოს სესიებს? თბილისში, უზენაესმა საბჭომ, რომელიც ფაქტობრივად პარალიზებული იყო 1994 წლის 1-2 აპრილის შემდეგ ( ზოგი ციხეში იყო, ზოგი - საზღვარგარეთ და პრეზიდიუმი ვერ იკრიბებოდა), მუშაობა განაახლა. თბილისში ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ჩამოსვლის დღიდან მრავალჯერ იყო შეკრების მცდელობა. და ბოლოს, ეს საქმე განხორციელდა. 27 –მა დეპუტატმა მოითხოვა ჩატარებულიყო სესია და, როგორც იქნა, თავი დაედგა იმას, რომ უზენაესი საბჭო, ისევე როგორც მრგვალი მაგიდა, აღსდგა თბილისში 1998 წლის 14 ნოემბერს. ეს უნდა გაუხარდეს ნებისმიერს, ვინც პოლიტიკაში ერკვევა და საქართველოსათვის სიკეთეს ესწრაფვის. განა გასახარი არ არის, რომ ლეგიტიმური ორგანო ამოქმედდა და ამ ხუნტის პარალელურად არსებობს იურიდიული ხელისუფლება?! ვის არ გაუხარდებოდა მაგ. ნოე ჟორდანიას ხელისუფლების არსებობა და აღდგენა? (ამიტომაც იყო, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას მთელი საქართველო დიდი სიხარულით შეხვდა). ახლა კი რა ხდება? ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი, ახლა უკვე ყოფილი დეპუტაცია თუ ყოფილი პრეზიდიუმი, თავისი გაგებით სასიკვდილო დარტყმების მიყენებას ცდილობს უზენაესი საბჭოსათვის. ის რაც შევარდნაძემ მილიონების ხარჯვით ვერ გააკეთა, ამათ უნდათ ერთი ხელის მოსმით, თვითლიკვიდაციის გამოცხადებით, გააკეთონ. ამათგან იყო ნაფიქრებული, რომ ეს ლეგიტიმურობა გადასცემოდა შევარდნაძეს, როგორი გზითაც არ უნდა ყოფილიყო.. ფარული გზებით, სწორედ ესენი ეწეოდნენ მასობრივ აგიტაციას არჩევნებში, ზოგი - ლეიბორისტებში, ზოგი - საპრეზიდენტო არჩევნებში და სხვ. ბატონი ზვიად გამსახურდიას განცხადება, რომ ხუნტის მიერ დანიშნულ ნებისმიერ არჩევნებში მისვლა ნიშნავს საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებას, ყურად არ იღეს. აი, ახლაც არ ეშვებიან,.. ბატონ ზვიად გამსახურდიას სურათებით გამოდიან, თუმცა აბსოლუტურად საწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიან. დღეს ეს ბრძოლა აშკარა ფაზაში შედის, დაკვეთა მიღებული აქვთ, ჯერ ხალხი უნდა მიიზიდონ და მერე ვინ იცის, ზვიად გამსახურდია შეიძლება სამშობლოს მოღალატედაც გამოაცხადონ (აქამდეც შეიძლება მივიდნენ). დღეს ხან ზვიად გამსახურდიას ლოზუნგებით გამოდიან და ხან – მისი საწინააღმდეგოთი. არ ვიცი, გავეცი კი პასუხი თქვენს შეკითხვას?

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

**თბილისი**

### საავიაციო ქარხანა

2001 წლის 22 იანვრიდან 26 თებერვლამდე საავიაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები დაითხოვეს ელექტროენერგიის არქონის საბაბით, თუმცა 22 იანვრიდან ქარხნის ტერიტორიაზე დენი ერთი დღითაც არ გამორთულა. 26 თებერვალს სამუშა-



ოზე მისული მუშა-მოსამსახურეები სამუშაოს არქონის გამო უფასო შვებულებაში გაისტუმრეს სექტემბრის თვემდე. თუმცა ზოგი მათგანი საგანგებო (არაოფიციალური) სამუშაოებით დაასაქმეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, საავიაციო ქარხანაში ხელშეკრულების დადების გარეშე, კერძო გარიგების საფუძველზე მზადდება CY-25-ის დეტალები. თანხები მიდის ადმინისტრაციისა და სხვათა ჯიბეებში.

საავიაციო ქარხანაში გრძელდება ქარხნის ქონების ძარცვა-განიავება, უფასო შვებულებაში ხალხის გაშვება საქართველოში საავიაციო წარმოების მოშლის პირობაა, რაც საქართველოს სამხედრო პოტენციალს სპობს. მუშა-მოსამსახურეთა უფასო შვებულებაში ყოფნისას ქარხანა იძარცვება. ქარხანაში გამოვლენილია და სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული რამდენიმე მუშა-მოსამსახურე, რომლებსაც, ლუკმა-პურის შოვნის მიზნით, ქარხნიდან გაჰქონდათ ქარხნის ქონების უმნიშვნელო ნაწილი, მაშინ, როდესაც სრულებით დაუსჯელნი არიან ნამდვილი მძარცველები. თორდიას სურს, საავიაციო ქარხნის გაძარცვა-განიავება ხალხს გადააბრალოს. თუმცა თორდია იფიცება, რომ ყველაფერს აკეთებდა მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასების დასარიგებლად. მაგრამ 1998 წლის მეორე ნახევრისა და 2000 წლის აგვისტოდან დღემდე ხელფასები გაუცემელია.

ასე რომ, პანტიკოს "ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს".

### ლილოს ხილ-ბოსტნეულის ბაზარში სრული განუკითხაობაა

დაანგრიეს კარტოფილის გადასამუშავებელი საამქრო, წვენების საამქრო, დანადგარები დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს. დაანგრიეს სახამებლის საამქრო, დაყიდეს ბეტონის ფილები, შემდეგ ტრაქტორით გადაასწორეს, კამერებში მოხსნეს მაცივრების გაყვანილობა და ჯართში ჩააბარეს.

ლილოში, "საქნავთის დასახლებაში", თითქმის 6 თვეა გაფუჭებულია სასმელი წყლის მილი. იღვრება წყალი, არავინ ყურადღებას არ აქცევს მოსახლეობის გასაჭირს.

"საქნავთის დასახლებაში" შენდებოდა ექვსსართულიანი სასტუმრო, რომელიც თითქმის დამთავრების სტადიაში იყო, როდესაც გაყიდეს 13 ათას დოლარად. ახლა ამ შენობას ანგრევენ და ყიდიან სამშენებლო მასალად.

### ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან გატანილი უნიკალური ნივთები ისრაელში აღმოაჩინეს. კვალს ნოდარაშვილთან მივყავართ

რეზო ნოდარაშვილის რაიკომის მდივნობის დროს, ისრაელში გაიტანეს რაიონის საეკლესიო ზარები. ყველა სოფელში, სულ ცოტა, ორი ეკლესია მაინც იყო, მათი ზარები ერთხანს სკოლებსა და კლუბებში ჩამოკიდეს, მერე კი უგზოუკვლოდ გააქრეს, თუმცა სოფელ საკაოს მცხოვრებლებმა თავიანთი სოფლის ზარის კვალს ნოდარაშვილთან მიაგნეს. მაშინ სარჩელიც კი აღძრა, მაგრამ, ხუნტის გაბატონების შემდეგ, სოფელი დააშინეს და გააჩუმეს. ასევე გაქრა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან 25-ზე მეტი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და მუზეუმის სხვა უნიკალური ნივთები, ხატები. ეს განძიც ისრაელში გაზიდეს; კვალს კვლავ ნოდარაშვილთან მივყავართ.

### შემოსავლები 2000 წელს 918,9 მლნ. ლარი. დეფიციტი 216,9 მლნ. ლარი

ალბათ, ამის გამოა, რომ ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ნაღდი ფულის ემისია, რომელმაც შეადგინა 44 მლნ. ლარი, რითაც ნაწილობრივ დაიხურა დეფიციტი.

2000 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალმა შეადგინა 4192,5 მლნ. ლარი. მათ შორის, საგარეო ვალმა –2694,5 მლნ. ლარი.

ერთი წლის მანძილზე (2001 წლის იანვარი – 2000 წლის იანვართან შედარებით) ფასების საერთო დონე გაიზარდა 4,9%-ით, ყველაზე მნიშვნელოვნად გაძვირდა ხილი და ბოსტნეული – 16%-ით, პური და ბურღულეული –12% -ით, თამბაქო –11%-ით.

### ქალაქ ხაშურს ორ თვეზე მეტია წყალი არ ღირსებია

წყლის მიწოდება ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული, ელექტროენერგია კი მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ მიეწოდებათ, ისიც ღამის 2-3 სთ-ზე. მაშინაც წყალი მეორე-მესამე სართულამდე ძლივს ადის და ისიც მცირე ხნით.

### კრიზისი სუკში, ანუ მესაიდუმლეთა კარდაკარ მაძებარნი

თბილისში, იერუსალიმის ქუჩაზე (№ 2\5) მცხოვრებ ლ. დათაშვილს პოლიციელმა ალექსი ხოხობაშვილმა (რომელმაც თავი უბნის ინსპექტორად გააცნო) მიაკითხა და, არც მეტი არც ნაკლები, "მესაიდუმლეობა" სთხოვა, თანაც მფარველობა შესთავაზა. ეს ყველაფერი იაფფასიანი რომანის სიუჟეტს ჩამოჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ხოხობაშვილის ტრფობის საგანი მხოლოდ "სუკი" ყოფილა, ხოლო ლამაზი ქართული სიტყვა "მესაიდუმლე" მის ენაზე სუკის აგენტს ნიშნავს თურმე. კარგა ხანს ელაპარაკა "კანონის დამცველი" ლ.დათაშვილს სუკის ყოვლისშემძლეობასა და სარფიანობაზე, თანამშრომლობასა და ინფორმატორობას სთხოვდა, მაგრამ ვერას გახდა. განაწყენებულმა ჩაილაპარაკა, მე თქვენთვის კარგი მინდოდაო და სუკის ორგანოთა (ოღონდ არა გულისა და ღვიძლის,- რადგან სუკს ეს "ორგანოები" არ გააჩნია) "მესაიდუმლედ" ახალი კანდიდატურის საძებნელად გასწია.

### ზურაბ ნოღაიდელის სიხარული

"პარიზის კლუბში" ბევრად უფრო მეტს მივაღწიეთ, ვიდრე წარმოდგენილი გვქონდა და *ვიდრე გვეკუთვნოდა*". (ინტერ-პრესი, ახალ-დასავალი, 2001 წლის 12-18 მარტი).

ჩვენ კი ვიცით, რაც *ეკუთვნოდა* ნოღაიდელს, მაგრამ არ ვიცოდით "პარიზის კლუბელებმაც" თუ იცოდნენ!



### ჩვენში ხეები, ადამიანებისა არ იყოს, ცოტა ხანს ცოცხლობენ

57-ე სკოლის ეზოში მოჭრეს სკოლის დაარსების დროინდელი ასწლოვანი ხეები (12 ძირი). აღშფოთებულმა მოსახლეობამ დარეკა "რუსთავი ორის" რედაქციაში, მაგრამ დაპირების მიუხედავად, კორესპონდენტები ისე გვიან მივიდნენ, რომ მავანმა ავისმქნელმა მოჭრილ ხეთა ძირები ამოძირკვა, ნაფუძარს მიწა მიაყარა და კვალი წაშალა. ასე რომ, დაგვიანებულ "რუსთაველებს" მოსწორებული მიწის გარდა რაღა უნდა გადაეღოთ?

მოსახლეობამ თავად იკვლია ეს ამბავი და დაასკვნა, რომ ამ საქმეებში გარეული ყოფილა ვაკის გამგებელი დავით სულაძე.



### ნიკო ლეკიშვილის „ნულოვანი წარმატება"

"პარიზის კლუბში" მიღწეული შედეგებისათვის ნამდვილად ღირდა "ნულოვანი ვარიანტის" მიღება. ვალების გადავადება საკმაოდ შეღავათიანი პირობით მოხდა. მთავარია, რომ საქართველო აღიარებულია "პარიზის კლუბის" წევრების მიერ „გადამხდელუნარიან პარტნიორად" (ინტერ-პრესი. ახალ-დასავალი, 2001წ. 12-18 მარტი. №11 (344);

დიახ, ბატონებო, თურმე ეს ყოფილა მთავარი გაუბედურებული საქართველოსათვის!!!



## ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევის ცენტრი

### შევარდნაძე კორუფციას არ ებრძვის... ანარქიულ ვითარებაში შევარდნაძე სარგებელს იღებს... აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა უკვე სერიოზული საფრთხის წინაშეა, რომ საბოლოოდ დაკარგოს დასავლეთის ნდობა!

დაპირებებისა და რიტორიკული განცხადებების მიუხედავად, შევარდნაძე კორუფციას არ ებრძვის, პირიქით, ის გამუდმებით ცდილობს, შეინარჩუნოს ბალანსი კორუმპირებულ ძალებსა და რეფორმატორებს შორის და ამით არცერთ მათგანს გაძლიერების საშუალება არ მისცეს... ქვეყნის ძირითადი საგარეო პრობლემა რუსეთია, რომელიც საქართველოში შექმნილი ენერგოკრიზისით სარგებლობს. ასეთ ანარქიულ ვითარებაში შევარდნაძე სარგებელს იღებს. მას არცა აქვს პოლიტიკური ნება და სურვილი საფუძვლიანად ებრძოლოს კორუფციას. ამის გამო, ქვეყნის ენერგოსისტემას არაფერი ეტყობა საიმისო, რომ მომავალ წელსაც ანალოგიური ენერგოკრიზისი არ განმეორდება... არჩევნებში დაშვებული მძიმე დარღვევებისა და მძვინვარე კორუფციის მიუხედავად, დასავლეთი, ჯერჯერობით, განაგრძობს შევარდნაძის მხარდაჭერას, თუმცა აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა უკვე სერიოზული საფრთხის წინაშეა, რომ საბოლოოდ დაკარგოს დასავლეთის ნდობა! დასავლეთს არ შეუძლია, გამუდმებით ითმინოს კორუფციის ზრდა საქართველოში.

### ამერიკის შეერთებული შტატები მიიღებს მასხადოვის წარმომადგენელს

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას განზრახული აქვს, კონტაქტი დაამყაროს პრეზიდენტ მასხადოვის წარმომადგენლებთან. ამის შესახებ განაცხადა აშშ-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრები უნდა გაიმართოს მიმდინარე კვირის მანძილზე. ჩეჩნეთის მხარეს წარმოადგენს ასლან მასხადოვის ხელისუფლების წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ილიას ახმადოვი. იუწყებოდა რა ამის შესახებ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ვაშინგტონი აღიარებს რუსეთის მთლიანობას". თვითონ ილიას ახმადოვი ამ დღეებში იმყოფება აშშ-ში. ეს მისი მეოთხე გამგზავრებაა ამერიკაში. იუწყებიან, რომ ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკვე ჩაატარა რამოდენიმე შეხვედრა აშშ-ს სენატისა და კონგრესის წევრებთან, სადაც განიხილებოდა სიტუაცია ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. შეხვედრები ვაშინგტონში გრძელდება.

### სროლები ჯოხარაში და დუბა-იურტაში

ჯოხარაში მძაფრი შეტაკებები გაიმართა ჩეჩნების მობილური ქვედანაყოფის მებრძოლებსა და რუს აგრესორებს შორის. შეტაკება მოხდა ქალაქის დასავლეთ რაიონებში. ჩეჩენი მებრძოლები უტევდნენ მოწინააღმდეგის სამანევრო ბრონეჯგუფებს. შეტაკების დროს, ჩეჩნური მხარის მონაცემებით, დაიღუპა არანაკლებ 10 ოკუპანტი და განადგურებულია ბრონეტექნიკის 4 ერთეული. განსაკუთრებით ინტენსიური შეტაკებები იყო დაბა კიროვში. აქ მოქმედებდა მოჯახედების 15 მებრძოლისგან შემდგარი ჯგუფი. სროლების დროს დაიჭრა 3 მოჯახედი. დუბა-იურდას მახლობლად ჩეჩენმა მებრძოლებმა ააფეთქეს ავტომანქანა უაზ-ი, რომელშიც იმყოფებოდა ოთხი ომონელი, სამი მათგანი დაიღუპა. აფეთქების შემდეგ რუსის ჯარმა ბლოკირება გაუკეთა დუბა-იურტას და ჩაატარეს ე.წ. "გასუფთავება". დამსჯელი აქციის ჩატარებისას, პირდაპირ სოფლის ცენტრში მოხდა სროლები. ოკუპანტები შეეცადნენ ტყვედ აეყვანათ ერთი მოჯახედი, თუმცა მან მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია აგრესორებს. შედეგად, ჩეჩენი მებრძოლი მოკლულ იქნა, მაგრამ სროლისას მან შეძლო გაენადგურებინა ოთხი ოკუპანტი. ჩეჩნური მხარე იუწყება, აგრეთვე, აგრესორებთან შეტაკებების შესახებ ჟანივედენოს, ხიდი-ხუტორის და ცენტრის დასახლებულ პუნქტებში.

### ჩამოგდებულ იქნა ვერტმფრენი. განადგურებულია 23 აგრესორი

ჩეჩენი მოჯახედების უმაღლესი სამხედრო შტაბი მაჯლისულ შურა იუწყება, რომ დღის მეორე ნახევრისთვის ვედენოს რაიცენტრში ჩამოგდებულ იქნა რუსული ვერტმფრენი მი-8. ვერტმფრენს სროლა გაუხსნეს ავტომატებიდან და ტყვიამფრქვევებიდან დაფრენის დროს. დასაფრენ მოედანზე სროლებისას მოკლულ იქნა ოთხი რუსი აგრესორი, ხოლო ხუთი დაიჭრა. ვერტმფრენი გამოვიდა მწყობრიდან. მიუხედავად მცდელობისა, რუსმა აგრესორებმა ვერ შეძლეს ვერტმფრენით აფრენა. ჩეჩნური მხარის შეტყობინებით, გააფთრებული ბრძოლები გაიმართა ნოვოგროზნენსკის დასახლებული რაიონის მიდამოებში. აქ მოქმედებდა ამირ იარმუკის ქვედანაყოფი. ბრონეტექნიკის განადგურების შემდეგ, მოჯახედებმა ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს. გააფთრებული სროლებისას, მოკლულ იქნა 8 დესანტი, ხოლო 14 მძიმედ დაიჭრა. ჩეჩენთა მხარეზე დანაკარგი არ არის. დივერსიულმა ჯგუფმა ამირ აბდურახმან უმცროსის ქვედანაყოფიდან გაანადგურა უაზ-ი სამი ოკუპანტით დაღესტნის საზღვარზე, დაბა გერზელ აულის ახლოს. ამავე ქვედანაყოფის მებრძოლებმა გუდერმესთან ააფეთქეს მოწინააღმდეგის ბტრ-ი. ჩეჩნური მხარე, აგრეთვე, იუწყება, რომ ურუს-მარტანეში რაზმან ახმადოვის ისლამური ბრიგადის შემადგენლობიდან დივერსიულმა ჯგუფმა ააფეთქა ავტომანქანა ურალ-ი. აფეთქების შედეგად მოკლულ იქნა 4 ოკუპანტი, ხოლო აბუდარას მობილურმა ჯგუფმა შეტევა განახორციელა აგრესორების ბრონეჯგუფზე ავტურის მახლობლად. მოკლე ბრძოლის შემდეგ განადგურებულ იქნა 23 რუსი აგრესორი და მოწინააღმდეგის 12 ერთეული სხვადასხვა სამხედრო ტექნიკა.

**ჩვენი რწმენა**

## ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის

ლუიზა ხაჭაპურიძე

„ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის, გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა"-ამ სიტყვებით გვაძლიერებს უფლისმიერი 9 ნეტარება... და, მართლაც, მრავალნი



იყვნენ და არიან სადიდებლად ღვთისა დევნულნი სიმართლისათვის, სწორედ მათში და მათით განიხარებს თავად მაცხოვარი - კაცთათვის ჯვარცმული.

გთავაზობთ მართლმადიდებლობის ბურჯის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ბოლო ნერილს, რომელიც შეიქმნა სამშობლოდან დევნულობის ჟამს უკიდურესი შეჭირვებისას:

„... ჩემი მშობლები და ახლობლები საფლავებში განისვენებენ, მხოლოდ სამშობლოლა დამრჩა, მაგრამ ბოროტმა დემონმა ჩემზე სიძულვილის შავი ტალღები აღმართა და იქიდანაც გამაძევა; ახლა მე მარტოხელა მგზავრი ვარ, უცხო მხარეში დავეხეტები, მწუხარებით სავსე ცხოვრებასა და მიხრწნილ სიბერეს მივათრევ; არც ქალაქი გამაჩნია, არც საყდარი და ველარც სულიერ შვილებს ვხედავ, თუმცაღა, მათზე ზრუნვით ძლიერ ვარ დამწუხრებული. დღესა და ღამეს მარტოობასა და ხეტიალში ვატარებ.

სად დასცილდება ჩემი სული სხეულს? სად შევხვდები აღსასრულს? რომელი მიწა, რომელი გლახათმოყვარე სამარე შემიფარებს? ვინ დამიხუჭავს სიკვდილის წინ მიმქრალ თვალებს? - მართლმორწმუნე, თუ ვინმე ღვთისმგმობელი?

ყველაფერი ამაოა და ქარს მიაქვს. მე კი, სულმოკლეს, მაწუხებს აზრი - ჩემს სხეულს კუბოს მიაბარებენ, თუ გარეულ მხეცთა შესაჭმელი გავხდები; ფერფლად ვიქცევი და ჰაერში გავიფანტები, თუ კუბოს გარეშე სადმე უფსკრულში ჩამაგდებენ; მდინარე დამალპობს, თუ ხანგრძლივი წვიმები? თუმცა, ასეც რომ მოხდეს, უკვალოდ მაინც არ გავქრები და არც ჩემი გვამის მთლიანობა დაირღვევა, რამეთუ ბოლო ჟამს უფალი აღადგენს და შეკრებს ყველას, იმათაც კი, ვინც სიკვდილის შემდეგ ფერფლად იქცა ან ნადირთა საჯიჯგნი გახდა.

**ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ნეტარება, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის!**

მხოლოდ შენ აღძრავ ჩემში ცრემლსა და შიშს, უფალო!

ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ნეტარება, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის!

ნეტავ მეღირსოს, ღმერთო, რომ მრავალი ტანჯვისა და მწუხარების საზღაურად განსვენება ვპოვო შენში!"

**მხატვრობა**

## დევნილი ხელოვნება

15 მარტს, რუსთაველის №19-ში მდებარე საგამოფენო დარბაზში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საუნივერსიტეტო საზოგადოებამ" და "ზვიად გამსახურდიას საზოგადოებამ" ნიდერლანდებში მოაწყო ცნობილი ქართველი მხატვრის (გრაფიკოსის, ფერმწერის, ილუსტრატორის) ლუიზა კოპალიანის ნახატების გამოფენა და ამ შესანიშნავი პიროვნებისა და ხელოვანის ხსოვნის საღამო. გამომსვლელებმა (საუნივერსიტეტო საზოგადოების თავმჯდომარემ, თსუ არაორგანული ქიმიის კათედრის გამგემ პროფ. რომან გიგაურმა, თსუ საუნივერსიტეტო საზოგადოების კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ საყვარელიძემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა ჯიბსონ ხუნდაძემ, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა გურამ დოლიძემ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა გურამ მაქაცარიამ, საუნივერსიტეტო საზოგადოების უცხოეთთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარემ, ამ საღამოს სულისჩამდგმელმა თამარ აფრიდონიძემ და სხვებმა) ისუბრეს ლუიზა კოპალიანის შემოქმედებაზე, მის ბიოგრაფიასა და პიროვნულ ღირსებებზე, იმ გაუსაძლის სულიერ და ეკონომიკურ პირობებზე, რომელიც შეიქმნა ჩვენში კანონიერების დამხობის შემდეგ და რომელმაც მრავალი ხელოვანი აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო, აქ კი სიღარიბითა და სულიერების დათრგუნვით სულიერ იზოლაციაში მოაქცია ქართული ხელოვნება. ლუიზა კოპალიანი ამერიკამ შეიფარა, მას იქ "განსაკუთრებული მხატვრის" წოდება მიანიჭეს... საღამოზე საუბარი იყო დღევანდელი ქართული ხელოვნების სატკივარზე, ემიგრაციის სევდაზე, სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებაზე... გულს სალბუნად ედებოდა საგალობლები და "ფაზისის" მიერ შესრულებული "ჩემო კარგო ქვეყანავ", რომელშიც ჟღერდა აწმყოც, წარსულიცა და მომავალიც.

თ. თურქია

**კადრები ჩვენი უახლესი წარსულიდან**

## ახალი ორჯონიკიძეები ანუ ვინ მოუძღოდა მესამე რუსულ სატანკო დივიზიას?

თორნიკე ეფრემიძე
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ცნობილია, რომ 1991/92 წლების მიჯნაზე ეროვნული ხელისუფლების და პრეზიდენტის ძალადობით დამხობის, იმპერიული შეიარაღებული ძალების გამოყენებით მათი განდევნისა და მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაციების მხეცური დარბევა-დახვრეტების შემდეგ, დევნილთა სოლიდარობის მიზნით, 1992 წ. შემოდგომაზე შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, რომლის უპირველეს მიზანს, თითქოსდა, შეადგენდა მშვიდობიანი საშუალებებით მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი საქმიანობის მხილება. 1992 წლის ბოლოს ქუთაისში დაარსდა ამ საზოგადოების ფილიალი. მახსოვს, ქუთაისის ინტელიგენციის კლუბში, ლ.მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრის გვერდით, შეიკრიბნენ ქუთაისის დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები და ხმა აღიმაღლეს კრიმინალური ხელისუფლების უსაზღვრო თარეშის, განდევნილი ხელისუფლების მხარდამჭერთა დაშინებისა და მათი უუფლებობის გამო. აღშფოთება ერთ-ერთმა გამომსვლელმა ერთ დროს ხალხის უსაყვარლესი და შემდეგ ხუნტის გვერდით მდგომი პოეტის სტრიქონებით გამოხატა:

"ცხრა ყური და ცხრა თვალი მაქვს ადამიანს ქონებად,
ფუჰ! მომწყინდა ადამიანს კურდღელივით ცხოვრება!"

მართლაც, რომ კურდღლებივით დასდევდნენ კრიმინალური ხელისუფლების მიერ დაქირავებული ბანდიტები და ნარკომანები, ნაყაჩაღარ მანქანებში გამოჭიმული დაქირავებული არაკაცები საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეებს, ხელისუფლების თვალწინ ქუჩაში ხვრეტდნენ მოხუცებსა და ქალებს "სპილოები" და "ლუნჩავები", რითაც ჯილდოებს და მადლობებს იმკიდნენ.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი მუხრან მაჭავარიანი (რომელმაც შემდეგ, სამწუხაროდ, უკანონო არჩევნებს დაუჭირა მხარი!). თავიდან ამ საზოგადოებამ თავის მიზნად და ამოცანად ილია ჭავჭავაძისა და კონსტანტინე გამსახურდიას იდეების ერთგულება გამოაცხადა, რომლისთვისაც განდევნეს და, ბოლოს, ჯვარს აცვეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

ქუთაისში გამსახურდიას საზოგადოების ფილიალის დაფუძნებისა და გამგეობის არჩევის მეორე დღესვე, აუდიენცია ვთხოვეთ იმ დროს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს იმერეთის მხარეში და ქალაქის მერს თემურ შამიაშვილს. ჩვენ არაორაზროვნად განვუცხადეთ მას საზოგადოების დაფუძნების შესახებ და ამ საზოგადოების ოფისის გამოყოფაში დახმარება ვთხოვეთ. როგორც გამოირკვა, გამსახურდიას საზოგადოების ოფისისათვის გადასახადს საზოგადოების წევრთა მწირი ანარიცხებით ვერ გადავიხდიდით, თუმცა სულ მცირე ხანში წევრთა რიცხვმა საქართველოს მასშტაბით ათას გადააჭარბა.



შემდეგ დაიწყო საზოგადოების წევრთა დაუმორჩილებლობის აქციებში მონაწილეობის სამთვიური. დაწყებული მარტ-აპრილის თვიდან, საზოგადოება მართავდა საპროტესტო დემონსტრაციებს ასსაფეხურიან კიბესთან, რომელზედაც კანონიერი ხელისუფლების მრავალი მომხრე, დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი და მთავრობის წევრი მინახავს და მათი მგზნებარე სიტყვა მომისმენია, მაგრამ რამდენჯერაც ქალაქის ცენტრში (მოედანზე და კინო-თეატრ საქართველოსთან) საპროტესტო - საინფორმაციო მიტინგი დაიგეგმა, ყოველთვის დარბეულ იქნა ის და აქტივისტები - დაპატიმრებული. ასე გაგრძელდა ზაფხულის არდადეგებამდე, რომელსაც იმ წელს სოფელში ვატარებდი. შემდეგ დაიწყო სამეგრელოში სადამსჯელო "ეგზეკუციების" დასკვნითი მე-4 ეტაპი, "ზვიადისტური ცენტრის" განადგურების მიზნით. ამ განზრახვის წარუმატებლობამ სახელმწიფოს მეთაურს და სამხედრო საბჭოს გალის რაიონი და, საერთოდ, აფხაზეთიც ისევე დააკარგვინა, როგორც შიდა ქართლი.

აგვისტოს ბოლო დღეები ქუთაისში გავატარე იმ ვარაუდით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა 1 სექტემბერს დაიწყებოდა. საზოგადოების გამგეობის რამდენიმე წევრი ზუგდიდში პრეზიდენტ გამსახურდიას შესახვედრად გამგზავრებულიყო. საზოგადოების ოფისად ქცეული ერთი ოთახი, რომელიც ქალაქის არქიტექტურის სახელოსნოს წარმოადგენდა ასსაფეხურიან კიბესთან, მინებჩამსხვრეული და დარბეული დამხვდა. თბილისში, ქუთაისსა და მთელს საქართველოში სწავლა განუსაზღვრელი ვადით იყო გადადებული, გარდა სოხუმისა; სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალი, საკუთარი რისკითა და პასუხისმგებლობით, სოხუმში ეპატიჟებოდა გახიზნულ მოსახლეობას და მოსწავლე ახალგაზრდობას; იგი მშვიდობასა და ღირსეულ შეხვედრას პირდებოდა მათ და ყველას არწმუნებდა მისი სიტყვისა და საქმის სისწორეში.

**ზუგდიდისკენ სხვადასხვა გზით იმავე დროს ადმირალ ბალტინის არმიის კიდევ ორი სატანკო დივიზია მიისწრაფოდა მაშინდელი პარლამენტის ორი აღმატებული წევრის - გოგუაძისა და ფაცაციას წინამძღოლობით**

სექტემბერი სოფელ სალხინოში გავატარე. იშვიათად, მაგრამ მაინც ფოთებელი ინფორმაცია სოხუმის ალყის, შარტავას პირით, დარბეული სამეგრელოს მკვიდრთა სოხუმის საშველად გადაბირების მცდელობისა, სოხუმის მისადგომებთან მთავარსარდლის, გენერალიტეტის უმოქმედობისა და ღალატისა, სოხუმის დაცემისა, მთავარსარდლის დანაშაულებრივი უმოქმედობისა თავდაცვითი ეშელონისებური საგნების გაუმართაობის გამო მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მხედართმთავრისა და გენერალიტეტის უსირცხვილო გამოქცევისა ბრძოლის ველიდან, ჯარისა და მოსახლეობის ბედის ანაბრად მიტოვების, ჭუბერის გადასასვლებით ლტოლვილების იძულებით გაწყვეტისა, ვითომ პრეზიდენტის მომხრეთა მიმართ ზუგდიდელთაგან შურისძიების ასაცილებლად, საქართველოს დამოუკიდებლობისა და აფხაზეთის გასათავისუფლებლად პრეზიდენტის გარშემო ჯარების გაერთიანების მცდელობის ჩაშლისა და ე.წ. "სამოქალაქო" ომის გაჩაღებისა.

სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, სოფელში გამომწყვდეულს, დასავლეთის მხრიდან სულ უფრო გარკვევით მესმოდა მძიმე არტილერიის სროლის ხმა დილიდან საღამომდე. მოდიოდა ხმები, ლოთი (ვახტანგ) ქობალიას ეროვნული გვარდიის მიერ სენაკის, ხონის, ლანჩხუთის, დაფნარის, სამტრედიის აღებისა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ქობალიას გვარდიელები ქუთაისის მისადგომებს დაემუქრნენ და ბრძოლის გარეშე ითხოვდნენ გზას თბილისისაკენ. მაგრამ ოქტომბრის ბოლოს მდგომარეობა მკვეთრად შეიც-

მქონდა, ველარ გავჩერდი სოფელში და ერთ დღეს 5 საათზე, ავტობუსით გეზი ავიღე ქალაქისაკენ ბაღდათი-ვარციხის მიმართულებით. 7 კმ-ზე სოფელ ამაღლების მისადგომებთან ჩვენი ავტობუსი საგზაო ინსპექტორის მანქანამ შესახვევში გადააყენა და მგზავრებს გარეთ გადმოსვლა აგვიკრძალა, თვითონ კი ისევ გზაზე გავიდა. ჩვენი მანქანა გზასთან ახლოს იყო და კარგად ჩანდა, როგორ მოიზლაზნებოდა მთელს ჰორიზონტზე სატანკო დივიზია, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა დაახლოებით 30-35 საბრძოლო ტანკი, ბეტეერები, სამხედრო ტექნიკით დატვირთული და ჯარისკაცებით სავსე მანქანები, საველე სამზარეულოს მანქანები.

სატანკო დივიზია, როგორც ჩანს, დისლოკაციის ადგილს იცვლიდა. ბრძოლის ველი ახალი დატოვებული უნდა ჰქონოდა და ახალი საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიიჩქაროდა, არ ეშინოდა და არ ერიდებოდა, რომ უცხო - იმპერიული ქვეყნის სატანკო დივიზია დღისით, მზისით, ყველას დასანახად გვერდში ედგა და საბრძოლო ოპერაციებს ეწეოდა, რათა მისივე იარაღით მოსული ხელისუფლება დაეცვა.

როგორც შემდეგ გავიგე, სატანკო დივიზიამ, ვარციხის გზით და ქუთაისის გავლით, ხონის მისადგომებისაკენ გასწია, იქ გამაგრებულ გია ჭანტურიას და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძალებს ამოუდგა მხარში და აქედან შევიდა ზუგდიდში.

მაშინ მე არ ვიცოდი, რომ ზუგდიდისაკენ სხვადასხვა გზით იმავე დროს ადმირალ ბალტინის არმიის კიდევ ორი სატანკო დივიზია მიისწრაფოდა, მაშინდელი პარლამენტის ორი აღმატებული წევრის მეგზურობით (გოგუაძე და ფაცაცია ამ "წინამძღოლობით" ამაყობენ!). ცხადია, ზუგდიდის მიდამოებში დისლოცირებული ეროვნული გვარდიის შეუიარაღებელი ძალები, რომელთა მძიმე ტექნიკა (მხოლოდ თვითმცლელი მანქანები იყო), ვერ გაუძლებდა სამი სატანკო დივიზიის სამმხრივ შტურმს.

საინტერესოა, ვაიქართველთაგან ვინ მეგზურობდა ამ მესამე სატანკო დივიზიას? თავისი ნებით ვინ ამოუდგა გვერდით გოგუაძესა და ფაცაციას?

ლიტერატურა

თინათინ მღვდლიაშვილი - პოეტი და მხატვარი დაიბადა 1955 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, ქალაქ ქუთაისში. მოინათლა ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში. ნათლობის საიდუმლოს აღმსარებლები იყვნენ: გაენათელ-ქუთათელი მიტროპოლიტი მეუფე გაბრიელ ჩაჩანიძე (დაკრძალულია სიონის ტაძრის ტერიტორიაზე), დიაკონი - აპოლონ ბალანჩივაძე (მელიტონ ბალანჩივაძის ძმა), მღვდელი მამა ნიკოლოზი.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსებზე ათეულობით სიმღერაა შექმნილი, მათ შორის ნებისმიერი ქართველისათვის ცნობილი: „აღმაშენებელი" (თ.თათარაშვილი), „ხმალი ავლესოთ, ქართველებო", „ქართველები შეარიგე, მერაბ", (გ.დოლიძე), „ჭრიჭინები" (ანსამბლი „ქართული ხმები"), „ბიჭებო, დიდგულა ბიჭებო!" (მ.სეფაშვილი) და სხვა.



### პორტრეტი

ქალბატონ მანანას!

მწუხრის ლოცვაში დამშვიდდა ქარი.
დათოვლილია საფეხურები,
ჩარაზულია ეზო და კარი
და სახლის სხვენზე სამერცხულები.
სარკმლიდან მოსჩანს თეთრი საყდარი
და დანისლული ლურჯი მუხნარი...
და ცეცხლის ალით განათებული
გიბრწყინავს ორი ალიბუხარი.
სახეს გიმშვენებს უმსუბუქესი
და უნაზესი შავი პირბადე,
თასი - ცრემლებით შენაზავები
ავსებულია უკვე პირთამდე.
თითქოს ბუხრიდან გეჩურჩულება, -
პრინცი, ო, შენგან ასგზის პყრობილი...
და მოვის ფარდას ელერსება
გაფითრებული შენი პროფილი.
და ხარ ისეთი პირმშვენიერი,
მიუწვდომელი, მიუკარები,
ვით ქართლის გზებზე ყელმოღერილი
და დასიცხული ლილიფარები.
პილატეს ცრემლით გადათვრა ღამე
და გადაშალა ნაფეხურები...
არ შეგაშფოთოს, ძვირფასო, რამემ, -
ჩარაზულია სამერცხულები.

2000წ.

### ჩემო დიდთვალება

გიორგის

ჩემო დიდგულა და ჩემო დიდთვალება,
კაკლის მურაბაში შენი ფერებია...
ვიცი, შენს დუმილში რისხვა იმალება,
ვიცი, ეს სოფელი არ მოგფერებია.

წუხელ შემეფეთა თეთრი მწუხარება,
თეთრი სიჩუმე და არე ისლიანი...
რად ხარ, დიდთვალებავ, ასე უკარება? -
მუდამ თან დამყვება მზერა ნისლიანი.

დიდი თოვლია და შენი ნასახლარი
თეთრი ფანტელებით, ალბათ, იფარება...
უნდა გაიმაგრო გული ნახანჯლარი,
ჩემო დიდგულავ და ჩემო დიდთვალებავ!...

1994წ.

### ნათლისღება

ანა თუხარელს

სიონს მტრედი შემოფრინდა და რეკავდა
დედოზარი,
მე მიწიდან გიგალობდი და ზეციდან
მაცხოვარი.
ნათლისღების ჟამი იდგა, - საიდუმლო
უდიდესი, -
და წარსდექი ქრისტე-ღმერთთან, უმანკო
და უწმინდესი.
ზეთი გცხეს და წყალში გშთაფლეს, თმა
შეგკვეცეს, - ერთი ციდა,-
და განწმენდილს გიმღეროდა ანგელოზი
ლურჯი ციდან,
ცარგვალს სხივი გამორბწყინდა, დაიბადე
ქრისტეს კრავი
და მფარველი გამოგიჩნდა,-უსხეულო,
უხილავი.
მე ვიყავი მიმრქმელი და შენ ბატკანი სახიერი
და იმ დღიდან უნდა გწვრთნიდე, ვით
მიმინოს ბაზიერი.
ეგეოსის ზღვასთან სახლობ, მე კი ვსახლობ
მწუხრის ზღვასთან,
სამსხვერპლოზე თავი მიდევს და ვლოცულობ
ვნების ზღვასთან.
სამთავროში სანთელს ვინთებ, მახსენდება
თბილი ქარი,
როს მირონით განიწმინდა საოცარი შენი
გვარი.
მე ვიყავი ვაზის ტოტი, შენ კი ვაზის
სამაჯური,
მე ბაღნარი ვიყავი და შენ ბაღნარის
სატაცური.
ახლად შობილს დაგანათლე ცხოვრების გზა
სხივნათელი,
რომ იესოს მიეახლო სრულქმნილი და
სულნათელი.
დაგანათლე მზე-ქალობა და გონება თამარისი,
რომ ოდესმე მოიხილო შატბერდი და
თუხარისი.
მაფშალია გიგალობდეს სასთუმალთან,
ჩემო ანა,
შეგეწიროს სამთავისი, გელათი და დოლისყანა.
ვარსკვლავებმა გაგინათონ მიწიერი ბნელი
ღამე,
ღვთისმშობელმა დაგიფაროს, თუ შეგემთხვა
ავი რამე
და გიყვარდეს უფლისციხე, სამშვილდე და
ანანური,
ალავერდმა აგარიდოს საწყენი და სანანური.
მზითვად გაგყვეს მარგალიტი - შოთას
„ვეფხისტყაოსანი",
ღმერთმა ვაჟი შეგახვედროს - შავჩოხა,
შავფაროსანი.
გული გქონდეს მწყალობელი, სიყვარული
ანთებული,
მზის სარკმლიდან დაგნათოდეს - ზეცა, -
ათინათებული!
ნუ იქნები ქედმაღალი, მედიდური, უკადრისი...
აიაზმით განიკურნე სული, სავსე მთოვარისით.
არ მოგაკლდეს უფლის მადლი და შროშანის
სილამაზე
სასოებით გაიარე, ქრისტიანო, - ქრისტეს
გზაზე
ღირსეულად იცხოვრე და ღირსეულად ზიდე
ჯვარი
და გახსოვდეს, რომ გმფარველობს
ანგელოზთა სრული ჯარი.
გახსოვს? - დღეჲ მარიამის? - მტკვართან
ქროდა თბილი ქარი...
ნათლისღებით გადაბრწყინდა უძველესი შენი
გვარი.
გახსოვს? - მტრედი შემოფრინდა და რეკავდა
დედოზარი,
მე მიწიდან გიგალობდი და ზეციდან
მაცხოვარი.
და ისმოდა საოცარი სიმღერები სირინოზთა...
მე ვიყავი ნათლია და გთავმდებობდი
იესოსთან...

2000წ.

7 აპრილს, ხარებას, ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნულია პოეტისა და მხატვრის **თინათინ მღვდლიაშვილის** პერსონალური გამოფენა და შემოქმედებითი საღამო. დასაწყისი 2 საათზე.

მეცნიერება

## ნიცშე და გრიგოლ რობაქიძე

სიმონ არველაძე

(დასაწყისი წინა ნომერში)

გრ. რობაქიძეს თბილისსა და ქუთაისში წაუკითხავს ლექციების ციკლი: „ახალი ევროპა", „მარქსიზმი და პიროვნება" და. რაც ყველაზე საგულისხმოა, 1911 წელს წაუკითხავს ლექცია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ. ლექციას დასწრებია დიდძალი საზოგადოება; წარმოიდგინეთ, მისი ლექცია მოუსმენია მხცოვან პოეტს აკაკი წერეთელს და თავისი აღტაცება გამოუთქვამს წერილით. მოგვყავს ფრაგმენტი ლექტორის გამოსვლის აკაკისეული შეფასებიდან:

- ჩემი ცხოვრების ხე ჯერ არ გამხმარა, ძირისფესვი ძლიერი აქვს... ამის ნიშანიც ვნახე და ვამბობ გიხაროდენ...

ამ დღეებში გრიგოლ რობაქიძემ საჯაროდ წაიკითხა ლექცია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ, მეც დავესწარი და ამისრულდა წადილი: ვნახე ის ჩემის თვალით, სულ მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა: ქართველი ინტელიგენტი, თავისუფლად მოაზროვნე და არა საუცხოო გრამაფონი, ცხადად იგრძნობოდა, რომ ყოველი მისი სიტყვა მისი საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში ქართულად გამოზრძმედილი; ლექტორმა იჩინა თავი ჩემს თვალში, როგორც პირველმა მერცხალმა გაზაფხულის მახარობელმა, ახლა კი ვხედავ, რომ ქართველ ინტელიგენციასაც უდგება ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ გაზაფხული და მეც, მშვიდი ცაზე აფრენილი, ვამბობ სიხარულით: კურთხეულ იყოს მომავალი" /„სახალხო გაზეთი" 1911 წელი/.

როგორც ვხედავთ, დიდმა აკაკიმ ახალგაზრდა გრიგოლ რობაქიძეში შეიცნო მომავლის დიდი შემოქმედი, ფილოსოფიურად განსწავლული და მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტი, რომელიც, სამწუხაროდ, 30-იან წლებში ვერ გაექცა უღელ ცხოვრებას, მაგრამ ასეთ გაქცევას სამშობლოდან გაქცევა ამჯობინა და მას განდო თავისი ჯავრი...

გრიგოლ რობაქიძემ ბავშვობიდანვე იგრძნო „გოეთეს თვალის" ღვთაებრივი მადლი და ბოლომდე შერჩა მას. იგი დაეწაფა დასავლურ კულტურას, კერძოდ, გერმანულ ფილოსოფიას, გაიტაცა ნიცშეს მითოსურმა გენიამ და ზეკაცის თეორიამ. ამგვარად, გრიგოლ რობაქიძე ამ პრობლემის არსის გააზრებაშიც თავისთავადი და დამოუკიდებელი გზით მიდიოდა.

იტალიელი მწერალი ლუიჯი მარგარიტი გრიგოლ რობაქიძის შესახებ დაწერილ სტატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს ორ მოვლენას: ვაჟა- ფშაველას საღამოს 1909 წელს თბილისში და გრიგოლ რობაქიძის ლექციას ფრიდრიხ ნიცშეზე. ამ მოვლენებთან დაკავშირებით იგი განიხილავს მითოსური ფაქტორის როლს ხელოვნებაში.

გრიგოლ რობაქიძეს დაწერილი აქვს ფილოსოფიური ესეები და ნარკვევები: „ფრიდრიხ ნიცშეზე", „დემონი და მითოსი", „საქართველო მსოფლიო სარკეში", „ტენნე და მითოსი" და სხვ. იგი მოხიბლული ყოფილა ნიცშეს წიგნებით: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან", „სიკეთისა და ბოროტების მიღმა", „ასე ამბობდა ზარატუსტრა".

მწერალი და მეცნიერი აკაკი გაწერელია, თავის მოგონებაში „არდავიწყება", გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გრიგოლ რობაქიძე აღტაცებული იყო ნიცშეს წიგნებით, მას ვერ წარმოუდგენია, როგორ ათანხმებდა მორწმუნე და კეთილშობილი გრ. რობაქიძე თავის პრინციპულ პოზიციას ნიცშეს ზეკაცის იდეასთან, ან ისეთ პოსტულატებთან, როგორიცაა „წაქცეულს ფეხი უნდა დაარტყა", „ბრბოსთან საჭიროა დისტანციის პათოსის დაცვა" და სხვ. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს თვით გრ. რობაქიძის აღიარებას. სტატიაში „ჩემი ცხოვრება" მან მკაფიოდ განსაზღვრა თავისი მსოფლმხედველობრივ - შემოქმედებითი კრედო, დამოკიდებულება დასავლური კულტურის თავკაცებთან.

გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ მისთვის საგანთა შეჭვრეტის საფუძვლად იქცა. სინამდვილის ხედვა ჩამოყალიბების პროცესსა და მთელს დინებაში, და არა ცალკეულ მომენტებში - ეს მწერლისა და მოაზროვნის უმაღლესი ამოცანაა. ამის შემდეგ ახსენებს ნიცშეს და კრიტიკულად შენიშნავს: ზეკაცის იდეა, რამდენადაც ეს „ზარატუსტრაშია" გაშლილი, განსაკუთრებით დამაჯერებელი არ მეჩვენება, მაგრამ დიონისურმა ფენომენმა /„ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან"/ დამატყვევა... და კიდევ უფრო მეტად - მარადიული დაბრუნების იდეამ... აქვე კითხვას სვამს და განაგრძობს: „თუ კი მე ჩემს თავს მარადიულად ვუბრუნდები, როგორ შეიძლება ზეკაცი გავხდე? ამას ვეკითხებოდი ჩემს თავს, ისევ და ისევ, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი, მერე ვუღრმავდებოდი დოსტოევსკის, რომელთანაც ეს იდეა ნაკლებ როლს არ თამაშობს, მაგრამ არც მასთან იყო ნათელი. ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი გოეთეს, მის სიტყვებში მეგულებოდა ამ იდეის ახსნა. ბოლოს და ბოლოს აღმოსავლეთი მოვიდა შველად."

თხზულებაში „დემონი და მითოსი" გრიგოლ რობაქიძე იძლევა აღმოსავლეთსა და დასავლეთში ცხოვრების არსის აზრობრივ-მეტაფიზიკურ განმარტებას. აქ იგი წარმოგვიდგენს გოეთეს, რომელიც მითოსურად უმზერს ახალ ევროპას, არ ითვალისწინებს იმას, რომ გოეთეს მოწაფეა. ამ კონტექსტში უპირისპირდება კიდეც ნიცშეს, მიაჩნია, რომ ფაუსტი და ზარატუსტრა ანტიპოდებია; ეს უკანასკნელი თავის შინაგან მე-შია ჩაკეტილი და აქ ეძებს ზეადამიანურ სრულყოფას. ფაუსტი თავისუფალ შრომასა და შემოქმედებაში ხედავს კმაყოფილებას. გოეთე მოითხოვს ადამიანის ამაღლებას, ნიცშე კი ქადაგებს მის დაძლევას და ამ გზით მიდის ზეკაცისაკენ.

ნიცშე ლაპარაკობს ძალაუფლების ნებაზე: „Wille zur Macht" უნდა გავიგოთ, როგორც მისწრაფება ხელისუფლებისადმი და მას მოძალადე ადამიანის განწყობილებას უიგივებენ. უნდა გვქონდეს ნება ღონისა და რაღაც საგნისა, ხელისუფლება ყოველთვის კონკრეტულია, ხელისუფლების წყალობით ადამიანი ყოველთვის რაღაცას ფლობს.

ნიცშეს აქვს ფრაზა „ზეკაცი არის ელვა /ე.ი. მუქი/ ადამიანისა სიბნელეში". ამ ფრაზას თვლიან მისი მსოფლმხედველობის გამოხატულებად, როდესაც ამბობენ, რომ ის ნაცისტურია, რეაქციულია და ა.შ. ნიცშეს ზეკაცი და მისი ზეკაცი ორი განსხვავებული ფენომენია. პირველი სიძულვილია, მეორე კი - სიყვარული. გრიგოლ რობაქიძე უთუოდ იზიარებდა ნიცშეს ზეკაცის ვაკასეულ კრიტიკას. ეს მაშინ ცნობილი იყო და შეუძლებელია, რომ არ სცოდნოდა.

გრიგოლ რობაქიძის სიმპათია ნიცშეს მიმართ სრულიადაც არ გულისხმობს რასიზმის თეორიის აღიარებას, ან ისეთ გაგებას, როგორც ეს გაიგეს და გამოიყენეს ნაცისტებმა გერმანიასა და იტალიაში.

ფრიდრიხ ნიცშე აღტაცებაში მოჰყავს ჰერაკლიტეს და იმთავითვე უპირისპირდება ელიტარულ ტენდენციას. მისი თქმით, ქვეყნიერებისათვის მუდამ საჭიროა ჭეშმარიტება და, თუ ეს ასეა, მას მუდამ დასჭირდება ჰერაკლიტე"... ჰერაკლიტეს ქმნადობის პრინციპის შესაბამისად, განიხილავს ნიცშე ბერძნული ხელოვნების განვითარებას და მათში გამოჰყოფს ურთიერთდაპირისპირებულ საწყისს, რომლებსაც აკავშირებს დიონისესა და აპოლონის სახელებთან. თხზულებაში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან", საბერძნეთის ხელოვნებას იგი წარმოადგენს ამ ორი საწყისის ერთიანობის ნიშნად. არსისა და ქმნილების კატეგორიებს, ანტიკური მითოსის ზეგავლენით, იგი უწოდებს აპოლონურ და დიონისურ საწყისებს. ეს, ამავე დროს, არის გამოხატულება ნიცშეს პიროვნებაში შერწყმული ორი საწყისის ერთიანობისა - ფილოსოფიურისაც და მხატვრულისაც.

აპოლონურის ანალოგია არის სიზმარი, ილუზია; ეს არის ოცნების ქვეყანა, სადაც სინათლე და ჰარმონია, წესრიგი და ზომიერება დომინირებს. რაც შეეხება დიონისურს, იგი სიბნელის, თრობის, ქაოსის სიმბოლოა, მაგრამ, ნიცშეს აზრით, ბერძნული ტრაგედია ხელოვნების ის ფორმაა, რომელშიც მუსიკის სულით გაჟღენთილი დიონისური ელემენტი ორგანულად უერთდება აპოლონურს. ამგვარად, ლტოლვა უკავშირდება ხატს. ხელოვნება სწორედ მაშინაა სრულყოფილი, როცა მასში მოხდენილადაა შერწყმული სამყაროსეული ეს ორი საწყისი.

ნიცშე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამყაროს ნამდვილი ძირი დიონისურია. დიონისურ სამყაროში სუვერენობს თრობა; წარმოსახვა და ზმანება აქ თრობას უდრის. ეს დიონისური მსოფლშეგრძნება მსჭვალავს ნიცშეს მთელ ფილოსოფიურ ნააზრევს. დიონისურს ენიჭება ღვთაების ძალა. სამყარო დიონისეს ქმედება, მარადიული ნგრევა - შენებაა. იგი ტრაგიკული მნგრეველი ძალაა.

ნიცშეს დიონისურმა ფენომენმა, როგორც თავად აღიარებს, გრიგოლ რობაქიძე დაატყვევა, მან გაიაზრა მარადიული დაბრუნების იდეაც. ეს იდეა, რომელიც მას ყოველთვის აწვალებდა, რამდენად სხვანაირად იყო ნააზრევი: არა ქართველის მარადიული დაბრუნება, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება, თავისი თავისკენ. შემდეგში ამ შეცნობამ ხორცშესხმა ჰპოვა რომანში „გველის პერანგი".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# სატირალი (არა სასაცილო!) კარიკატურები

ჯოჯოხეთის ქვაბი



- აბა, რა გეგონათ?!

## ორი ზარმაცი მანანწალა



- ახალი საუკუნე რომ დაიწყო, სანაგვე ყუთები არ უნდა ავსებულიყო?
- ეეე, შე ჩერჩეტო, ვერ ხვდები, ამ „მთავრობამ“ ხალხი ისე დაამშია, სანაგვეში ჩვენ ვინ რაღას დაგვიტოვებდა?!

## სამყარო

არაბეთში იზრდება ერთი სახეობის ბუჩქნარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სიცილის მცენარეს ეძახის. საკმარისია, შეჭამოთ მისი ნაყოფი (მუხუდოს მარცვლის ოდენა) და მაშინვე აგიტყდებათ შეუკავებელი სიცილი. იძულებითი ლხენა 30 წუთს გრძელდება.

–

ნიანგი ქვებს ყლაპავს იმიტომ, რომ საიმედო ღუზა ჰქონიოს ზამთრის ძილის დროს.

–

ძუძუმწოვარი ცხოველებიდან ყველაზე ჩქარა იზრდება ვეშაპის შვილი, რომელიც დღე-ღამეში სიგრძეში იმატებს 2 სმ, ხოლო წონაში 69–100 კგ-ს.

–

ჭადრაკის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ჭადრაკის თამაში გამოიგონა მოხუცმა ბრძენმა თავისი აღსაზრდელი უფლისწული რაჯისათვის. როცა მას თამაში ასწავლა უთხრა:

–ეს თამაში გვიჩვენებს, რომ ძალა ხალხშია და არა მეფეში, მეფე უხალხოდ უღონოა.

## სხვადასხვა სხვადასხვა სხვადასხვა

## ექიმი



### კუჭ-ნაწლავის დაავადებები

**გასტრიტი**

კუჭი საჭმლის მომნელებელი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა. აქ გროვდება დაღეჭილი საკვები და იწყება მისი ქიმიური გადამუშავება - მონელება. საკვები ნივთიერებების მონელება ფერმენტების გავლენით ხორციელდება. მათი აქტიური მოქმედებისათვის საჭიროა კუჭის წვენის მარილმჟავა.

გასტრიტის სახელწოდების ქვეშ გაერთიანებულია სხვადასხვა წარმოშობის კუჭის დაზიანებები.

მწვავე გასტრიტის მიზეზია კუჭში სხვადასხვა მავნე ნივთიერებების ან ბაქტერიების მოხვედრა. გასტრიტის მიზეზი შეიძლება იყოს ზედმეტი რაოდენობით მიღებული საჭმელი, ზედმეტად ცხიმიანი კერძი, შაშხი, ძნელად მოსანელებელი ბოსტნეული, მკვახე ხილი. მწვავე გასტრიტი უფრო დაღლილ და მშიერ ადამიანს ემართება. უჩვეულო საკვებს მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოშხამვას ისეთი საჭმლით, რომელშიც გამრავლებულია სხვადასხვა მავნე ბაქტერიები. ეს მიკრობები მრავლდებიან პროდუქტის თბილ ადგილას შენახვისას და მაცივარშიც კი, თუ მას დიდხანს შევინახავთ.

მწვავე გასტრიტის მოვლენები მკვეთრად ვლინდება სიმთვრალეში და სიმთვრალის შემდეგ. მისი მიზეზია ზოგიერთი წამლის მიღება, როგორიცაა ასპირინი, დიგოქსინი, იოდი და სხვა.

ეს დაავადება ვითარდება ზოგიერთი ინფექციური დაავადებით, მაგალითად, გრიპით, ფილტვების ანთებით, ეპიდემიური ჰეპატიტით და სხვა.

როგორ ავიცილოთ მწვავე გასტრიტი?

ადამიანმა საკვებად უნდა მიიღოს კეთილთვისებიანი, გაუფუჭებელი პროდუქტები, დაიცვას მათი შენახვისა და მომზადების წესები. წინა დღით მომზადებული სუპი და სხვა კერძები წამოადუღოს, მოამზადოს საკვები დაბანილი ხელით და საერთოდ, დაიცვას სანიტარიისა და ჰიგიენის ელემენტარული წესები.

ვისაც აღმოაჩნდება რაიმე საკვების აუტანლობა, მიაკითხოს ექიმს და, რასაკვირველია, მოერიდოს ავადმყოფობის გამომწვევ პროდუქტს.

მწვავე გასტრიტით დაავადებულს სამედიცინო დახმარება უნდა აღმოუჩინოს ექიმმა, რადგან ამ დაავადების მსგავს მოვლენებს სხვა დაავადებებიც იწვევენ, როგორიცაა გულის კუნთის ინფარქტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული და სხვა. ეს დაავადებები სხვაგვარ მკურნალობას საჭიროებს. თუ ექიმის გამოძახება, დაუყოვნებლივ მოსვლა შეუძლებელია და, მით უფრო, თუ დაავადება ჯგუფურ ხასიათს ატარებს, ავადმყოფს ამოვურეცხოთ კუჭი.

## დიასახლისი

### სალათები



**სტაფილოს სალათა**

მასალა: 4 ცალი მსხვილი სტაფილო, 2 ვაშლი, 2 პატარა მჟავე კიტრი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი გემოვნებით.

გარეცხილი და გაფხეკილი სტაფილო გახეხეთ და დატოვეთ 1-2 საათი. გამოყოფილი წვენი გადაასხით, ხოლო სტაფილო შეურიეთ გახეხილ ვაშლსა და მჟავე კიტრს, შემდეგ მოაყარეთ მარილი, მოასხით ზეთი.

**მწვანე ხახვის სალათა**



გარეცხილი ნახევარი კილო მწვანე ხახვი დაჭერით, მოაყარეთ მწვანილი, მოასხით მარილ-ძმარი თქვენი გემოვნებით. შემდეგ რამდენიმე მოხარშული კვერცხი დაჭერით და შეურიეთ ხახვს, მოასხით 3/4 ჭიქა არაჟანი, ნაღები ან მაწონი.

**კომბოსტოსა და მჟავე კიტრის სალათა**

წვრილად დაჭერით პატარა ზომის კომბოსტო, მიამატეთ დაჭრილი მჟავე კიტრი, ოხრახუში და მოასხით 3 კოვზი ზეთი, მარილი და შაქარი დაამატეთ თქვენი გემოვნების მიხედვით.

**საგაზაფხულო სალათა**



დაჭერით 250 გრამი მჟაუნა, მწვანე ხახვი, ნიორი, ოხრახუში, მოაყარეთ მარილი, მოასხით ზეთი და ძმარი გემოვნებით, გადაიღეთ სასალათეში და მორთეთ დაჭრილი ბოლოკითა და მოხარშული კვერცხით.

## კვიმატი



☺

ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რომ გესმით ხმა, მაგრამ არ იცით საიდან? - ეკითხება ნერვოპათოლოგი ჭიჭიკას.

- ძალიან ხშირად, ექიმო.

- ცუდია! როდის გემართებათ ხოლმე;

- როცა ტელეფონით ვლაპარაკობ!

☺

სასწავლო წლის დასასრულს შვილი სკოლიდან ბრუნდება და ბიჭიკას ეუბნება:

- სულ რომ მეუბნები ეკონომია გააკეთეო, ახლა შენთვის ეკონომია გავწიე!

- როგორ ბიჭო?

- ახალი სახელმძღვანელოების ყიდვა არ დაგჭირდება, იმავე კლასში ჩავრჩი.

**ხუმრობენ ქუთაისელი „პიკასოს ბიჭები“**

- რა დაგემართა ბიჭო? -ეკითხება კაცი შავებში ჩაცმულ მეგობარს.

- ჩემს ცოლს დედა მოუკვდა, მე - სიდედრი, ჩემს შვილს - ბებია, სიმამრს - ცოლი.

- აუ! არ ამოწყდარა მთელი ოჯახი?

☺

- იცით თუ არა, რომ დავით აღმაშენებელი 16 წლის იყო, როცა ტახტზე ავიდა?!

- დიდი ამბავი, ჩემი შვილი წლის არაა და კარადის თავზე ძვრება.



გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
მანანა ტაბიძე (დისკუსია), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება), მაკა დადიანი (მეცნიერება), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ილია ჭრელაშვილი (მხატვარი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ჭუბრაძის 32
ტელ.: (8-231) 2-16-03
(8-22) 22-15-87
მობ.: (877) 47-69-30
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818